№ 2907
სამშაბათი,
13 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2907
სამშაბათი,
13 სექტემბერი

ფასი გაზეთისა: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—5 კ., დამატებითა—6 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანკის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, მოზრდილი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ხუთშაბათს, 15 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ტფილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად, რის შემდეგ სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე აკურთხებენ ძეგლს მიცვალებულის საფლავზე, რასაც იუწყება **კნეინა იულია კონსტანტინეს ასული თუმანიშვილისა.** (2—1)

ქვრივი **ოლგა იოსების** ასული შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა 14 სექტემბერს დილის 10 საათ. იქმნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში აწ გარდაცვალებულის ქ. ბაქოს რკინის გზის მღვდლის

სერგეი დავითაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ხელ-ახლად

შეკეთებულს სახლში, რომელიც ეკუთვნის ქვაშვეთის ეკლესიას, გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ, ამა 1905 წლის სექტემბრის **უკანასკნელ რიცხვებში**

ი ხ ს ნ ე ბ ა
სამაგალითო მაღაზია შეკერილ ტანისამოსისა

ამ ფირმით
პარიზის მაღაზია

„ძმ. საფარიანცების და ტერ-საკოვისა"

განსაკუთრებულ განყოფილებით, სადაც **იაფ ფასიანი საქონელი** გაიყიდება.

ყოველთვის დიდძალი საქონელია დამზადებული, **შეკერილი** ტანისამოსი მამაკაცთა (სტატსკისა და ფორმისა), დედაკაცთა და ბავშვთა, აგრეთვე **ყოველ გვარ ფირმის** ტანისამოსი მოსწავლე ვაჟების და ქალებისთვის, მომზადებული საკუთარ სახელოსნოებში ტფილისსა, ბაქოსა და ოდესაში. ტანისამოსი შეკერილი იქნება პარიზის უკანასკნელ მოდაზე. მუდამ ჟამს მოვა ყველაფერი, რასაც-კი სეზონი შეჰქმნის.

შეიძლება დაკვეთა საქონლისა, კაცისა და ქალის ზედა ტანისამოსისა საკუთარ მატერიებიდან, **რუსეთის და ინგლისის ქარხნების ნაწარმოებიდან.** დაკვეთის მომზადება ვადაზე და კარგად გამოცდილ გამომჭრელთა ხელმძღვანელობით. ამ გამომჭრელთ კურსი დამთავრებული აქვთ პარიზის სამკერვალო აკადემიაში.

ფირმა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას პირადად მობრძანდეს და დარწმუნდეს ყველაფერში.

ფასები საქარხნოა და შეუვაჭრებელი

(10—360—2) პატივისცემით „ძმ. საფარიანცები და ტერ-საკოვი"

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაიწყება

ვაჭრობა

მაღაზიაში, **რომელიც** მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე **ნაკლებ ფასად დანიშნოს, რასაც იაფ გაჩენობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.** საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—100)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, **ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება 20 აგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—19) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

დამატებითი მისაღები გამოცდა **ქუთაისის საქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში** იმათთვის, ვინც სასწავლო ფულის შეუმოუტანლობის გამო გამორიცხულ იქმნა სასწავლებლიდან წარსულ მაისს, და აგრეთვე ამ სასწავლებელში ახლად შემოსვლის მსურველთათვის, დანიშნულია ამ სექტემბრის 16, 17 და 19 რიცხვებში, დილის 8 საათიდან.

სასწავლებელში შემოსვლის მსურველთ თხოვნები, იმისი აღნიშვნით, თუ რომელ კლასებში სურთ ეგზამენის დაჭერა და შემოსვლა, უნდა წარუდგინონ სასწავლებლის ინსპექტორს ამ სექტემბრის 9 რიცხვიდან, დილით 7—11 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

ვინც ეგზამენს დაიჭერს, მიღებულ იქნება სასწავლებელში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისთანა რიცხვი საკმაო იქნება ერთის, ორის, ან სამის კლასის შესადგენად, არა ნაკლებ 40 მოწაფისა თითო კლასში. სასწავლო ფული—24 მან. (ამ 1905 წ. პირველ ნახევრისა) იმათთვის, ვინც მაისში დათხოვნილი იყო ფულის შემოუტანლობისა გამო და ეხლა ხელ-მეორედ იქმნება მიღებული, და 12 მანეთი—ამ 1905 წლ. მეორე ნახევრის სწავლის ფასი იმათთვის, ვინც სასწავლებელში პირველად იქნება მიღებული,—უნდა იქმნეს შემოტანილი ეგზამენის გათავების შემდეგ, არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

სწავლა დაიწყება 21 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე. (3—6.—2).

ნაფიც ვექილის თანაშემწე

ი. კ. მაჭავარიანი
გადავიდა

საპერნი ქუჩაზე, № 11. (5—2)

სენაკის მაზრის, სოფელ მარტვილის მცხოვრებნი და დ. ნოღალევის მოვაჭრენი საყოველთაოდ აცხადებენ, რომ 15 ამა წლის სექტემბრიდან ყოველ ხუთშაბათ-პარასკეობით დაბა

ნოღალევში მუდმივად დაარსდა ბაზრობა,

სადაც გაიყიდება ყოველ-გვარი პირუტყვი და ადგილობრივი ნაწარმოები და ამისათვის სთხოვენ პატივცემულ საზოგადოებას, მყიდველთ და გამყიდველთ, იქონიონ მსვლელობა ბაზრობაზედ. (10—6.—2)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

(მალაია ვოდოვოზნაია და ინჟინერნის ქუჩების კუთხეში)

მიიღებიან ყმაწვილები ქართულ და სომხურ განყოფილებებში, და სხვა კლასსებში, მისაღებად გამოიცდებიან ყმაწვილები ყოველ დღე 12 საათიდან 2 საათამდე.

მოსამზადებელ კლასებში სწავლის ფასი თვეში 5 მან. დანარჩენებში ექვსი მანეთი. (5—3)

ქუთაისში
ს. ი. ოცხელის მოსამზადებელ

სასწავლებელში

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. ტფილისის ქუჩის შესახვევი საკუთარი სახლი. (5—4)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

იწვევს იმათ, ვინც მოისურვებს გამგეობასა და იმის ხელქვეით დაწესებულებათათვის **შეშის მოჯიდებას**, მობრძანდნენ გამგეობის სადგომში ამა წლის 13 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, როცა მოხდება **ახჯარო ვაჭრობა.** (ნ. 3—3)

1 ენკენისთვიდან ქუთაისის სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა"-ს

კანტორა გადავიდა **ზაქარია კოკოჩაშვილის** სახლებში, ალექსანდროვის ქ. ქალაქის ბაღის მახლობლად. აქვე გაიხსნა **„ჟურნალ-გაზეთების კანტორა"**, სადაც იყიდება ცალკე ნომრებით ყველა ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები და მიიღება იმათზე ხელის მოწერა. (3—2)

ვიყვან შინ გიმნაზიის მოწაფეს, ქალსა გინა ვაჟსა, მხოლოდ მეოთხე კლასამდინ. სურვილის სამებრ მოწაფისა შემიძლიან ვიკისრო გაკვეთილების მომზადებაც—ჩემ შვილებთან ერთად დახმარებით. გრიბოედოვის ქ., № 31, ო. 6. ალექსიევ-მეხიევისა (4—358—1)

ქუთაისში, თამარ ზ. მაჭავარიანის

საქალებო პროგიმნაზია

გადავიდა ივანოვის ქუჩაზე ი. ოცხელის სახლში. სწავლა დაიწყო 12 ენკენისთვეს. ქალიშვილები მიიღებიან მთელი წლის განმავლობაში. სწავლის ფასი 20 მან. წელიწადში. (4—კოლ.—1)

ტფილისის ქართულ სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის პირველ განყოფილებაში ამა მიმდინარე სამოსწავლო წელს მიღებულნი არიან კენჭით შემდეგი ყმაწვილები:

1. გიორგი ავალიშვილი, 2. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, 3. გიორგი ალექსიშვილ, 4. ვასილ ანანიაშვილი, 5. კონსტანტინე ამირაჯიბი, 6. მიხეილ გოგიბედაშვილი, 7. ივანე გიორგის-ძე გობელაური, 8. იოსებ დუჩიძე, 9. შალვა გველესიანი, 10. ვალერიან გამყრელიძე, 11. დიმიტრი დიდებულიძე, 12. გრიგოლ დიდებულიძე, 13. ალექსანდრე მიხეილის ძე ყანჩელი, 14. რომან კორინთელი, 15. ალექსანდრე დავითის ძე ყანჩელი, 16. ალექსანდრე კობიაშვილი, 17. გიორგი ბადრიძე, 18. მიხეილ კვალიაშვილი, 19. შალვა მაჩაბელი, 20. [illegible], 21. [illegible], 22. გიორგი ორჯონიკიძე, 23. დავით ორჯონიკიძე, 24. გიორგი წინამძღვრიშვილი, 25. ვახტანგ ცალქალამანიძე, 27. კონსტანტინე ჩიკოიძე, 28. ვასილ ელიოსიძე, 29. ირაკლი ჯავახიშვილი, 30. შალვა ციციშვილი, 31. ივანე თარხნიშვილი, 32. ნიკოლოზ კანდელაკი და 33. არჩილ ნათიშვილი.

თუ ეს ყმაწვილები პირველ ოქტომბრამდის არ გამოცხადდნენ სასწავლებელში, გამოირიცხებიან სიიდან და იმათ მაგიერ სხვები იქნებიან მიღებულნი. (3—6.—1)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ. 30—6)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სააკოვისა № 15.

კბილის ექიმი
ივანე ჰ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის [illegible] პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—5.—35)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და ხსამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—26)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—5)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—15)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 6-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კლუბის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—15).

კიდევ „ნოვ. ობოზრ."-ს

ჩვენს შენიშვნებზე „ნოვ. ობოზრ."-მ გვიპასუხა ორის მასხრულის წერილით. სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ იმ სოცარა „პასუხს", რომელიც მივიღეთ ხსენებულ გაზეთის რედაქციისაგან (№ 191) და ვილაც ა. ტ.—ნისაგან (№ 192). გვაყვეთ კვალ და კვალ, რათა უკეთ დასდოს თავის მჯავრი იმ „საზოგადოებრივმა აზრმა", რომელთანაც ფუქსავატურის საჩივრით მიიჰრა ბ. ა. ტ.—ნი.

პირველი მასხრული შენიშვნა, რომელიც ჩვენ მივიღეთ „ნოვ. ობოზრ."-საგან, იმდენად სოცარია, რომ არ შეგვიძლია სიტყვა-სიტყვით არ მოვიყვანოთ. გაზეთი სწერს: „არა კულტურულს წრეებში ხშირად გაიგონებთ საყვედურს პრესსის წინააღმდეგ. თუ პრესსა ცდილობს ფარდა ახადოს სინამდვილეს და მკითხველთა ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილოს, მაშინვე მოისმის მოწინააღმდეგეთა ხმა: პრესსა ტყუილად ეხება ჩვენს იარას, ტყუილად ამწვავებს ურთიერთობას და სხვა... შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ სიმართლე დაფარულ იქმნა, გულუბრყვილო ადამიანს არ ეცოდინება იგი და თავის თავი ბედნიერ არკადიაში ეგონება. ჩვენ გვიკვირდა, როცა „შემარიგებელ კომიტეტებში" გვესმოდა ასეთი საყვედურები პრესსის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, თუ „ცნ. ფურც."-ც იმავე გაიმეორებდა. „ცნ. ფურ."-მა-კი თანაგრძნობით აღნიშნა ბ-ნი სიგმასა და გურიევის სულელური რწმუნება, ვითომ თათარ-სომეხთა შეტაკება საგაზეთო პოლემიკამ გამოიწვია".

ამ სიტყვებიდან გამოდის, რომ ჩვენ: 1) სიმართლის თქმა დავუშალეთ „ნოვ. ობ."-ს და 2) ვითომ იმის მტკიცება დავეწყოს, რომ გაზეთების პოლემიკამ გამოიწვია სომეხ-თათართა შეტაკება. თურმე „ნოვ. ობოზრ."-ს ცდა ყოფილა—სინამდვილე და გვანახვოს, გამოარკვიოს მიზეზები ჩვენის იარებისა; ჩვენ-კი ეს არ გვეპაშნიკა და ვუკიჟინეთ „ნოვ. ობოზრ"-ს!... მოდი და ნუ იტყვი, რომ ჩვენი მოკამათე ტაკი-[illegible] ჰდა „ნოვ. ობოზრ."-მ ეს სერიოზული ანალიზი სომეხ-თათართა შეტაკების მიზეზებისა, სად დაგვანახვა სინამდვილე, სად ახადა ფარდა საიდუმლოებას? „ნოვ. ობოზრ."-ს ჩვენ ვუკიჟინეთ, რომ ჭორებით აავსო ქვეყანა, რომ ყოველ ბრალს სდებდა თათარს, რომ აზვიადებდა ბრალდებას. ან იქნება ჭორი და გაზვიადება მიაჩნია „ნოვ. ობ."-ს სიმართლის გამორკვევად და სიმართლის მხილებად?! ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „ნოვ. ობოზრ."-ს არც კი უცდია სერიოზულად და მიუდგომლად სამწუხარო შეტაკების მიზეზთა გამოკვლევა; მან საკვირველის სიმჩატით გადაისროლა მხოლოდ ერთი სიტყვა—პანისლამიზმი—და შემდეგ შეუდგა ამის არსებობის დამტკიცებას ტენდენციურად გადმოცემულ ამბების ბეჭდვით. ჩვენც ეს ვუსაყვედურეთ გაზეთს და არა ვითომ სიმართლის გამომჟღავნება... არც ის გვითქვამს, ვითომც „ნოვ. ობოზრ"-ს ბრალი იყოს სომეხ-თათართა შეტაკება. იმდენად არ დავბრმავებულვართ, რომ „ნოვ. ობოზრ."-ს კარლიკები გოლიათებად გვეჩვენოს; კარგად ვიცით, რომ ა. ტ.—ნ—ვების და ზოგიერთ სხვა ანონიმ-ავტორების წრიპინს ბუზის გაღვიძებაც კი არ შეუძლია, თორემ ორ ერის დატაკებას ვინ დააბრალებს?! ჩვენ ვთქვით მხოლოდ, რომ თათრებისა და სომხების გაზეთებმა გაამწვავეს საქმე ტენდენციურის ამბებისა და ჭორების ბეჭდვით. ამის თქმა და „ნოვ. ობოზრ."-ს მტკიცება, ვითომ ჩვენ ამ გაზეთს ვთვლით შეტაკების მიზეზად, ერთი და იგივე არ არის... ამრიგად, პირველის ორის შენიშვნით „ნოვ. ობოზრ"-მ დაამახინჯა ჩვენი სიტყვები და ისე შემოგვიტია. მაგრამ მასხრობის მეტი არაფერი გამოუვიდა...

შემდეგ, „ნოვ. ობოზრ". გულზე ხელს იდებს და ისევ თავს იკატუნებს: „საბუთი, საბუთი მოიყვანოს „ცნ. ფ."-მა: სად და როდის ვთქვით ჩვენ რამე მთელ თათრის ხალხის წინააღმდეგ"... მეორე ადგილას: „ცნ. ფ." ვერ გვიჩვენებს ერთ სტრიქონსაც, სადაც თათრების წინააღმდეგ გვეთქვას რამე, სადაც მთავრობისათვის გვერჩიოს სასტიკ ზომების მიღების საჭიროებაო...

ასე იციან ყველა ფობებმა. წარმოადგენენ სრულს ბრალდებას ერის წინააღმდეგ და მერე თავს იმართლებენ იმით, რომ მთელი ერი როდი ჰყავთ სახეში. „ნოვ. ობოზრ.". არ იყო და არ არის, რომ ერთ სიტყვასაც არავის ათქმევინებს სომეხ-ბურჟუაზიის წინააღმდეგაც-კი? ეს მთელის ერის წინააღმდეგიაო. როცა სომეხ მევახშეზე სწერ რასმე—ეს სომხოფობია არის, ხოლო როცა მთელ თათრობას ავაზაკებად სახავ—ეს სინამდვილისა და ჭეშმარიტების მჟღავნებაა. აი ნამდვილი ბუშმენური ლოღიკა!..

ხოლო რომ ჩვენი ბრალდება უსაბუთო არ არის, ამის დამტკიცებასაც ეხლავ შევუდგებით, თუმცა, ვიმეორებთ, ჩვენს მკითხველებს არ სჭირიათ ასეთი საბუთები. რა გაეწყობა: უნდა მოვიყვანოთ თუნდ ორიოდე ნიმუში, იქნებ უსირცხვილო ოდნავ მაინც გაწითლდეს.

„ნოვ. ობოზრ."-ს 182 №-ში ვკითხულობთ: „წარმოუდგენელი ამბები ხდება ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში... ამაზე შორს ველარ წავალთ. თუ თებერვალსა და მაისში მცხოვრებთა ერთი ნაწილი თავს ესხმოდა მეორეს—უიარაღოსა და ღვთის ანაბარა მიტოვებულს, ეხლა თვით მთავრობა დარწმუნდა, რომ აქ საქმე ეროვნულს განხეთქილებაში-კი არ არის, არამედ მთელს სისტემაში, წინდაწინვე მომზადებულ და მოფიქრებულ და ამ ჟამად სისასტიკით განხორციელებულ სისტემაში. მოკლე, მაგრამ ფრიად დამახასიათებელი წარწერა, რომელიც იპოვეს სომხის ერთ ეკლესიაში შუშას და რომელიც ამბობდა: „ქრისტიანები საზიზღრები არიან—ყველა თეორეტიულ მსჯელობაზე მჭერმეტყველურად გვიხსნის საქმეს. ეს წარწერა გვეუბნება გაზავატზე, სარწმუნოებრივ ომზე, რომელიც **ყველა ქრისტიანთ გამოუცხადეს**".

აი, სერიოზული და მიუდგომელი გასინჯვა იარისა! რა საჭიროა „თეორეტიული მსჯელობა", როცა ვიღაცას ეკლესიის კედელზე აღუბეჭდია მთელი საიდუმლოება?! რა საჭიროა სიფრთხილე, რა საჭიროა მთელის ეროვნების სიბოროტის დამალვა, როცა ასეთი საშინელი წარწერა ვიგდეთ ხელთ? ჰკა მაგათ, გაზავატის აღმადგენელთ...

ამ ბრალდების დასამტკიცებლად გაზეთს შემდეგი ხელისხელ საგოგმანები ადგილი მოჰყავს გაზეთ „დროშაკ"-იდან:

„[illegible] ხანებს მას შემდეგ, რაც რუსები დამარცხდნენ მანჯურიაში. იმათ იმედი მიეცათ: ოსმალეთი ისარგებლებს რუსეთის გაჭირვებულ მდგომარეობით, ააჯანყებს კავკასიის თათრებს და გამოგზავნის რუსეთისაკენ ჯარებს მოსკოველების უღლიდან თანამორწმუნეთა გასათავისუფლებლად. თუნდაც რომ მარტო ოცნება იყოს ამგვარი იმედი ხანებისა, მაინც ისინი ადვილად დაუჯერებდნენ თავის რეგვენობით და ფანტაზიის სიცხოველის გამო სტამბოლიდან ჩაგონებას. განა კავკასიის მთიულებს რამდენიმე ათი წლის განმავლობაში რწმენა არ აფრთოვანებდა, როდესაც თავგანწირულად ებრძოდნენ რუსეთს? რაც უნდა იყოს, მაინც ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ თავ. გოლიცინის პოლიტიკამ—დასჯა თათრების შემწეობით სომხებისა, რომელნიც თავადს ეჯავრებოდა—შექმნა თათრების სოლიდარობა სარწმუნოებრივ საფუძველზე და მას მოჰქვება **საშიში შედეგი არა მარტო სომხებისათვის**".

ვაშა, მოწინავე სარევოლიუციო გაზეთო! რა დარბაისლური და მიუდგომელია შენი მსჯავრი. კავკასიელ თათართა სოლიდარობა სულთანის პოლიტიკის განსახორციელებლად—რა უბრალოდ ირკვევა ყველაფერი, როგორ მარტივად იხსნება ერთა ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში, მასთან, როგორ ბრწყინვალედ თავიდან ეხსნება ყოველი დანაშაული და ბრალი სომხის ბურჟუაზიას!..

ეს ფაქტების შესახებ „ნოვ. ობოზრ."-ს მსჯელობა. ახლა უყურეთ წინასწარ როგორ უსისინებს მთავრობას მაჰმადიანებზე, რომელთ არც უფიქრნიათ სომხების დარბევა-გაჟლეტა:

„ეპიდემია თათრების და სომხების შეტაკებისა ამიერ-კავკასიის საზღვრებით არ შემოიფარგლება. დიდის მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩვენი ხსენებული კორესპონდენტი იუწყება, ამგვარივე მღელვარება იწყება თათრებსა და სომხებში ამიერ-კასპიის მხარეზე. მართალია, იქ საქმე, ღვთის მოწყალებით, კრიზისამდე არ მისულა, მაგრამ ატმოსფერა ისეა გაჟღენთილი ურთიერთისადმი უნდობლობით, განწყობილება სომხებისა და თათრებისა ისეა გამწვავებული, ნიადაგი აფეთქებისათვის ისეა მომზადებული, რომ კატასტროფა ყოველს წუთს მოსალოდნელია. მოსალოდნელ უბედურების ზომა, რა თქმა უნდა, ძნელი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარმეტყველოა, მაგრამ მაინცა და მაინც იმიერ-კასპიის მხარეში საერთოდ და განსაკუთრებით ახხაბადში ძალიან დიდი არ იქნება, რადგან საკმაოდ დიდძალი რუსის ჯარი იმყოფება. სულ სხვა იქნებოდა, იმიერ-კასპიის ქვეყნების თათრებს რო თურქმენებიც (სუნიტებიც) მხარს აძლევდნენ, მაშინ მთავრობას მძიმე და რთული საქმე გაუჩნდებოდა, რომლის გასარიგებლადაც დიდი ჯაფა და ხარჯი იქნებოდა საჭირო. საბედნიეროდ, ჯერ-ჯერობით იმიერ-კასპიის ქვეყნებში თურქმენებს არავითარი მოძრაობა არ ემჩნევათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, იმის თავდებად ვერ დავდგებით, რომ პანისლამიზმის ტალღა ამ ძლივ-ძლივობით მიწყნარებულ ქვეყნების აბორიგენებსაც არ მოჰხვდებათ. თუ ამ ტალღის მოძრაობამ აღმოსავლეთისკენ გაიწია, შესაძლოა იმან სულ-ერთიან წალეკოს შუაგული აზია, რომელიც სათათრეთის ფართო ზღვას წარმოადგენს და რომელშიაც ერთი მუჭა რუსის ხალხია გაფანტული. მაშინ ჩვენ ხელ-მეორედ მოგვიხდებოდა **შუა აზიის დაპყრობა**... ანდიჯანის აჯანყება, რომელიც ჯერ ისევ ცოცხლად არის შენახული ცხოვრებაში, საკმაო საბუთს გვაძლევს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საფუძვლიანია ჩვენი შიში. დასკვნა ზემოდ ნათქვამიდან ადვილი გამოსაყვანია: ცეცხლის ასპარეზი ეხლავე უნდა შემოიფარგლოს... („ნოვ. ობ.“ № 188).

ვერა ხედავთ, როგორის წინდახედულობით იქცევა „ნოვ. ობოზრ.“ „ერთ მუჭა რუსის ხალხის“ გადასარჩენად? ეხლავ მივიღოთ სასტიკი ღონისძიებანი, თორემ ხელახლა დაგვჭირდება ჩვენ (sic) შიდა აზიის დაპყრობა. Caveant consules! გაიხსენეთ ანდიჯანის აჯანყება!..

ჩვენ სხვა მაგალითებს არ გამოვუდგებით, რადგან ისედაც გაგვიგრძელდა წერილი. ვამტკიცებთ მხოლოდ, რომ „ნოვ. ობ.“ დიდ დახელოვნებას იჩენს ამბებისა და კორესპოდენციების არჩევაში: ყველა თათრების მოღალატობას, ორგულობას და სიბოროტეს გვიმტკიცებს და იმავე დროს სომხების ერთგულობასა და დაბეჩავებას. ვინც ოდნავ მაინც ათვალიერებს ამ გაზეთს, იმან იცის, რამდენად მართალნი ვართ, როცა ამას ვამბობთ.

ასეთი შეუწყნარებელი ცალმხრივობა და ტენდენციური მეჭორეობა ვუკიჟინეთ ჩვენ „ნოვ. ობოზრ.“-ს და სხვა არაფერა. ამიტომ ვურჩევთ მასხარაობას თავი დაანებოს და რუს მკითხველებს ნუ უმახინჯებს ჩვენს სიტყვებს. ახსოვდეს, რომ „სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს.“ გ.

ახალი ამბავი

11 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, საგანგებო მატარებლით ტფილისში **ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.** ნამესტნიკთან ერთად ჩამოვიდნენ პოლიციის უფროსი გენერალი შირინკინი და დირექტორი ნამესტნიკის კანცელარიისა პუშჩინი. სადგურზე ნამესტნიკს დახვდნენ აიანშემწენი სულთან-კრიმ-გირეი, გენერალი მალამა და სხვანი.

◆ ტფილისის მაზრის მემამულეთა და გლეხთა **წარმომადგენლების კრება** საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად მოხდება თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში პარასკევს, 16 სექტემბერს.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს 11 სექტემბერს **თათბირი ჰქონდათ** თავ. ვ. ს. მიქელაძის განცხადების განსახილველად. თავ. მიქელაძემ, როგორც ვწერდით, წინადადება მისცა საბჭოს შუამდგომლობა აღძრას, რომ ტფილისს ნება მიეცეს ორი წარმომადგენელი გაგზავნოს სახელმწიფო სათათბიროში. ამ საქმის განხილვაზე თავმჯდომარემ გააცნო ხმოსნებს ქალაქის მოურავად ნამყოფის ვერმიშევის პასუხი. 8 სექტემბერს ხმოსნებს კერძო თათბირი ჰქონდათ. ორმოცი ხმოსნიდან კრების დასასრულ დარჩენილა 20 ხმოსანი. ამათ 17 ხმის უმრავლესობით დაუდგენიათ, სთხოვონ ქალაქის თავს დარჩეს თანამდებობაზე. ამ ხმოსნებს დეპუტაციაც გაუგზავნიათ ვერმიშევთან, საბჭოს სახელით ნდობა გამოუცხადებიათ და უთხოვნიათ დარჩენა. ამის პასუხად დეპუტაციის მეთაურმა თავ. გ. მ. თუმანოვმა წერილი მიიღო ვერმიშევისაგან, რომელიც მადლობას უხდის ხმოსნებს ნდობის გამოცხადებისა და თხოვნისათვის და ატყობინებს, რომ იგი გადაჭრით უარს აცხადებს თანამდებობაზე იმ დრომდე, ვიდრე თვით-მმართველობას არ მიეცემა შეძლება თავისუფლად მოქმედებისა და უზრუნველყოფილი არ იქნება ხელუხლებლობა პირადობისა და სხვა. ახლა ზოგიერთა ხმოსნებმა საყვედური განაცხადეს, 17 ხმოსანს ნება არა ჰქონდა ქალაქის საბჭოს 80 ხმოსნის სახელით დეპუტაცია ამოერჩია, ბ-ნ ვერმიშევისათვის დარჩენა ეთხოვნა და ნდობა გამოეცხადებინათ. ხმოსნებმა კომისიების შესახებ ამ დღესაც იგივე აზრი გამოსთქვეს, რაც 8 სექტემბერს. ამასთანავე განაცხადეს რომ კომისიებმა უნდა დაასრულონ დაწყებული საქმეები. თავ. ვ. ს. მიქელაძის განცხადება განუხილავს გამგეობას და დაუდგენია ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მეთაურობით შესდგეს დეპუტაცია და იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ ტფილისს ნება მიეცეს ორის წარმომადგენელის გაგზავნისა. ზოგიერთა ხმოსნებმა საყვედური განაცხადეს, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს თათბირს და, საკვირველია, რად მოგვიწვიეთ მარტო ჩვენაო. ხმოსნობას თავი დავანებეთ, და რაღა აზრი აქვს ჩვენს მოწვევასაო. თავ. მიქელაძე ამტკიცებდა, რომ ვიდრე სათანადო მთავრობამ არ დაამტკიცა ჩვენი განცხადება სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მანამდე ხმოსნებად ვითვლებითო. თავ. გ. მ. თუმანოვმა განაცხადა, კავკასიაში ერთ მილიონამდე სომეხი სცხოვრობს და არც ერთს ადგილიდან სომხობას არ მიეცემა უფლება წარმომადგენლის გაგზავნისა; სომხობას წარმომადგენელი შეეძლიან გაგზავნოს მხოლოდ ქალაქ ტფილისიდან. თავ. მიქელაძეს განცხადება საყურადღებოა, მაგრამ იმის გადასაწყვეტად ჩვენ ერობათა და ქალაქების მოღვაწეთა კრებას უნდა [illegible]. კამათის დროს ყველანი წასულიყვნენ და მხოლოდ 5—6 კაცი დარჩენილიყო. თავ. მიქელაძის მიერ აღძრული საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

◆ გუშინ, 12 სექტემბერს, ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი 29 აგვისტოს **ქალაქის საბჭოში დახოცილთა სულის მოსახსენებლად.**

◆ გუშინ, 12 სექტემბერს, ტფილისის საკომერციო სასწავლებელში, მოსწავლეთა ინიციატივით, გადახდილ იქნა პანაშვიდი **29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.**

◆ 11 სექტემბერს „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ამორჩეულ განსაკუთრებულ კომისიამ ქართულ გაზეთებისა, დრამატიულ და ფილარმონიულ საზოგადოებათა წარმომადგენლების თანადასწრებით დაადგინა, **ბარათაშვილის საფლავზე ძეგლის კურთხევა** მოახდინონ **9 ოქტომბერს.** კურთხევის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი. რაც შეეხება ხალხის მოწვევას ამ დღეს 60 წლისთავის აღსანიშნავად, კომისიამ უხერხულად სცნო ამის შესრულება დღევანდელ მდგომარეობისა გამო. ეს საქმე სხვა დროსათვის გადაიდო.

◆ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია ტფილისიდან გაგზავნილი შემდეგი დეპეშა: „გორის მაზრიდან კავკასიის პოლიციის უფროსს ატყობინებენ, რომ **შეიარაღებული ოსები მთებიდან ჩამოვიდნენ** და მემამულეთა სახლებზე თავდასხმას შეუდგნენო“.

◆ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, ბათუმიდან გაგზავნილი: ხმა გავრცელდა და ზოგიერთ გაზეთებშიაც დაბეჭდეს, ვითომ **ბათუმის ოლქის მაჰმადიანებს შორის მტრული მოძრაობა** იყოს ქრისტიანების წინააღმდეგ. ეს ხმა სიმართლეს მოკლებულია, არავითარი მტრული მოძრაობა მაჰმადიანებს შორის არ არის.

◆ ამ ბოლო დროს რუსულ გაზეთებს „სინ. ოტ.“-სა, „რუს.“-სა და სხვებში იბეჭდება **დიდ-დიდი დეპეშები ბაქო-შუშის ამბების** შესახებ. ეს დეპეშები უმთავრესად ტფილიდან იგზავნება. სხვათა შორის, უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულია „მშაკ“-იდან ამოღებული შემდეგი ამბავი, დეპეშით გაგზავნილი აქედან: „შუშაში გენერალმა თაყაიშვილმა თავი მოუყარა სომხებსა და თათრებს და ურჩია ხელი აიღოთ ერთმანეთის ჰლეტა-ხოცვაზედ. თათრებმა განაცხადეს, რომ მიზეზი სომხები არიანო. ამაზედ გენერალმა სთქვა, ბავშობიდან კარგად ვიცნობ სომხებსა და თათრებს; ვიცი, სომხები იმდენად მშვიდობიანი ხალხია, რომ ისინი მხოლოდ თავს იცავენ, როცა მათ ესხმიან და აწიოკებენო. შემდეგ გენერალმა დაუმატა: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თათრებს ჰყავთ კომიტეტები, რომელნიც ფანტასტიურ საქმის განხორციელებას სცდილობენ. ამის უარს ვერ ჰყოფენ, რადგან ნამდვილი შემოწმებული ფაქტებია“.

◆ სატახტო ქალაქის გაზეთში დაიბეჭდა ტფილისიდან „პეტერბურგის სააგენტოს“ მიერ გაგზავნილი დეპეშა, რომ **ბაქოში თათრებმა მოჰკლეს გაზეთ „ბაკუ“-ს თანამშრომელი შახტახტინსკი.** ამის გამო ეხლა თითონ გაზეთი „ბაკუ“ აცხადებს, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია, რადგან დღემდე ვერ გამოირკვა, ვინ მოჰკლა ჩვენი თანამშრომელიო.

◆ **ტფ. სამაზრო საერობო საბჭოს** წევრმა გ. ზ. ქანანოვმა გუშინ განცხადება წარუდგინა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. ქანანოვი სწერს, რადგან სამაზრო საბჭოში უმრავლესობას მემამულენი შეადგენენ და, მაშასადამე, ამ მემამულეთაგან იქნება არჩეული ის ერთი წარმომადგენელი, რომელიც მთელ მაზრიდან ნამესტნიკის საბჭოში უნდა გაიგზავნოს, ამიტომ სამაზრო საბჭომ ითხოვოს, რომ ნება მიეცეს აარჩიოს ორი წარმომადგენელი—ერთი მემამულეთაგან, ხოლო მეორე გლეხთაგანაო.

◆ „ინვალიდ“-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ახალი სია **ომში მოკლულ და დაჭრილ სალდათებისა** ტფილისის გუბერნიიდან. ამ სიაში არიან ქართველები, სომხები და რუსები. მოგვყავს აქვე ქართველების გვარები. მოკლულ იქნენ: მაკეშვილი მიხეილ (მარიამ-ჯვრიდან, ბორჩ. მაზრა) და ღევნოშვილი ალექსი (რატევნიდამ, ბორ. მ.); დაიჭრნენ: ცისკარაშვილი ქრისტესია, ხოხიაშვილი ლონგინოზ, ცხვარიაშვილი დავით, შოშიაშვილი შიო, კევლიშვილი დიმიტრი, საგანაშვილი ივანე, მერაბაშვილი ა., ცხვარიაშვილი დავით, ნისიკაშვილი სოლომონ, პეხუაშვილი ვასილ, ილაური ნიკოლოზ, როსტომაშვილი ივანე, მამისაშვილი ისიდორე და ლასკარაშვილი ალექსი. დაჭრილები ტფილისის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებიდან არიან.

◆ გუშინ, 12 სექტემბერს, აკურთხეს ქალაქის მიერ ნაძალადეველთათვის დაარსებული **პირველ დაწყებითი სასწავლებელი.**

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამიერ კავკასიაში განზრახულია **რეფორმა საეკლესიო საქმისა.** ამისთვის უკვე შესდგა ოთხი კომისია. ერთ კომისიას, მღვდ. ცინცაძის თავმჯდომარეობით, ევალება მრევლითი რეორგანიზაციის საქმის განხილვა, მეორეს—ი. ფერაძის თავმჯდომარეობით—სამრევლო-საეკლესიო სკოლების რეორგანიზაციის განხილვა, მესამეს ტფ. სემინარიის რექტორის თავმჯდომარეობით—სასულიერო სემინარიის სასწავლებლის რეორგანიზაციისა და მეოთხეს მღ. ტყემალაძის თავმჯდომარეობით—სასინოდო კანტორის და საეგზარხოსო მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის საქმის განხილვა.

◆ 27 აგვისტოს **გორის მაზრაში მოკლულ ურიადნიკის** ლიტვინენკოს ოჯახის შესაწევრად კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ გადასდო ორასი მანეთი, ხოლო თვით ლიტვინენკოს გვამის დასამარხად—50 მანეთი.

◆ როგორც **ბათუმიდან „არშალუის“ს ატყობინებენ,** 8 სექტემბერს მღ. მელიანცის თავმჯდომარეობით მომხდარა კრება სკოლებისთვის მზრუნველების ამოსარჩევად. დეკ. მელიანცმა განაცხადა, რომ დიდად სასარგებლო იქნება ქალების გარევა სასკოლო საბჭოებშიო. ეს აზრი ყველამ მოიწონა. საზოგადოდ ამ საგანს ბოლო დროს სომხურმა გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს. ქალების გარევას საჭიროდ მარტო სასკოლო სამზრუნველოებში არა სცნობენ. იმათის აზრით, ქალები უნდა აარჩიონ წარმომადგენლად საერობო საბჭოებშიაც.

◆ შიდა რუსეთში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად **ყოფილი არქიმანდრიტი ამვროსი** (ხელაია) დაინიშნა სასინოდო კანტორის წევრად. იმის ადგილას ზედამხედველად გადაიყვანეს ეგზარხოსის კანცელარიის გამგე ტრელინი.

◆ **ტფილისის ტრამვაის დირექტორად,** არამინის ნაცვლად, დაინიშნა ინჟინერი ეიდელმანი.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: 29 აგვისტოს ტფილისში დაიკარგა ქუთაისის მაზრის მცხოვრები გადაქტეონ გიორგაძე და მას შემდეგ იმისი ვერარა გაუგიათ-რა. გიორგაძე ხელობით მუშაა და ესე 15 წლისა იქნება.

◆ ნაძალადევის ეკლესიის კრებულმა შუამდგომლობა აღძრა, საეპარქიო სანთლის ქარხნიდან გადაიდოს 5000 მანეთი ნაძალადევის ეკლესიის შენობის დასამთავრებლად.

◆ 11 სექტემბერს ავლაბარში არაქსიანის თეატრში დანიშნული იყო ორი წარმოდგენა, დილით და საღამოთი. დილით უნდა წარმოედგინათ გულისაშვილის „დრონი მეფობენ“ და საღამოთი გუნიას „და-ძმა“. რაღაც მიზეზით, საბედნიეროდ, დილის წარმოდგენა გადაიდვა, ღამისა-კი ვერა, ხალხიც ბლომად დაესწრო, მაგრამ-რა, თვით ბ-ნ გუნიაც რომ იქ ყოფილიყო, შეიძლება მხოლოდ თავის გმირების (გაიოზ, ოტია, მარინე) ტანისამოსი-ღა ეცნო და სხვა არაფერი. ისეც ტანჯული ხალხი, საღამოს 8 ს. დაწყებული ღამის 1 საათამდის დასტანჯეს და დაჰხოცეს, არ იცოდნენ ეცინნათ თუ ეტირნათ. შეიძლება დასძინებოდათ კიდეც, რომ სცენიდან ფიცრების რახა-რუხს თავი არ წაეღო. ავლაბრელებს იმდენჯერ უნახავთ ეს პიესა, რომ თითქმის ყველამ ზეპირად იცის მისი შინაარსი და ამიტომაც იყო, რომ ზოგი რა სახელს არქმევდა და ზოგი რას.

როგორც გავიგეთ, თეატრის მართვა-გამგეობა ახალ კაცების ხელში გადადის. სათავეში იქმნებიან: კნ. თუმანოვისა, ბ-ნნი ნუნუფაროვი, ვარშამოვი, ექიმი იგიტიანცი და გ. ასლამაზოვი.

◆ ამას წინად ტფ. ქალაქის ლომბარდმა იშუამდგომლა გამგეობის წინაშე მიეცეს საწარმოვო თანხად 80,795 მან. გამგეობამ დაადგინა, რადგან ლომბარდის აღნიშნულ მიზნისათვის მიეცა 1700 მან. და ამ ხანად ქალაქს სხვა სახსარი არ აქვს, დანარჩენ ფულის მიცემა გადაიდოს მესამე საობლიგაციო სესხის განაღდებამდეო.

ტფ. ქალაქის დედათა პროფესიონალურ სასწავლებელში წელს ქალაქის სკოლებში კურს დასრულებულ მოსწავლეთაგან მიღებულ იქმნა 55 მოსწავლე. მთხოვნელი იყო 68.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 231)

კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისაგან

„კავკაზ“-ის მე-229 ნომერში მოთავსებული „სინ ოტეჩესტვა“-დან გადმობეჭდილი შემდეგი ცნობა: „კობეკოს თავმჯდომარეობით შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ გამოჰკითხა კავკასიის ნამესტნიკს და კავკ. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს ადგილობრივ პრესის შესახებ. ამათ ის აზრი გამოსთქვეს, რომ სომხის და თათრის პრესას იგივე უფლებები უნდა მიეცეთ, რა უფლებებიც რუსულ პრესას მიენიჭებათო“. ეს ცნობა მართალი არ არის. ბეჭდვითი სიტყვის საქმის გამო კობეკოს თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია არ შეჰკითხვია კავკასიის უმაღლეს მთავრობას სომხებისა და თათრის პრესის უფლებათა გათანასწორების შესახებ რუსულ პრესასთან.

საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე სთხოვს გაზეთ „კავკაზ“-ის რედაქციას, უარ-ჰყოს მე-229 ნომერში დაბეჭდილი უსაფუძვლო ხმა, ვითომ კობეკოს შეკითხვაზე თავმჯდომარეს ის აზრი გამოეთქვას, რომ სომხის და თათრის პრესას რუსულ პრესასთანა უფლებანი მიენიჭოს“.

გენერალ-მაიორ თაყაიშვილის დეპეშა.

„დღეს, 10 სექტემბერს, ეპისკოპოსის ამატისა და შეიხ-ულ-ისლამის თანადასწრებით აღდამში შეკრიბე სომხის და მაჰმადიანების სამღვდელოება, ბეგები და მთელი აღდამის ხეობის მცხოვრებთა წარმომადგენელნი. ამათ ფიცი დასდეს დაივიწყონ უბედური დღეები, კეთილმეზობლურად მეგობრულად იცხოვრონ და ერთმანეთის შეტაკების საბაბი არ მისცენ“.

ს ო ფ ლ ა დ

ლაშხეთი (ქვემო სვანეთი). საერთო მოძრაობის სიომ კარგა ხანია აქაც დაჰბერა. მას შემდეგ, რაც ჩვენმა საქებ-სადიდებელმა თავ. გარდაფხაძეებმა თავიანთ მოქმედებით დიდი ღვაწლი დასდეს მთელ საქართველოს და განსაკუთრებით ჩვენს თავად-აზნაურობას, მთელი ქვემო სვანეთი სულ სხვა სურათს წარმოადგენს. თუმცა ამ შემთხვევაში ერთი საზოგადოება მყავს სახეში, მაგრამ დანარჩენი ორიც მას ვერაფერში ვერ განშორდება.

ყველას მოგეხსენებათ სვანთა გაჭირვებული მდგომარეობა. მათთვის არც გზაა და არც კვალი, არც მისვლა და არც მოსვლა: ბუნება სვანებისათვის რაღაც ულმობელ მტერს შეადგენდა. ამას რომ თავი ვანებოთ, ასე წარმოიდგინეთ, მთელს ქვემო სვანეთში ერთი ფერშალიც არ არის. ექიმი და აფთიაქი ხომ მათთვის რაღაც სანეტარო ხილია. ამას დაუმატეთ თანაც სხვაფრივ,

ფელეტონი

როგორი უნდა იყოს მიწის მფლობელობა

(შემდეგი *)

რუსეთის ს.-დემოკრატია გლეხობას ჰპირდება „სასამართლოს უნდა მიეცეს უფლება, საიჯარო გადამეტებულად აწეული ფასები დასწიოს და აგრეთვე სასამართლომ არ უნდა შეიწყნაროს ამგვარი ხელშეკრულობა, რომელსაც მევახშეობის ხასიათი აქვსო“. ჩვენ კი გვგონია და ხალხიც დაგვეთანხმება, რომ ამგვარ სასამართლოს დაწესება მეტი საქმეა, რადგან მოიჯარადრეობა და მევახშეობა სრულიად უნდა მოისპოს. ვისაც მიწა იჯარით აქვს აღებული, საიჯაროს სრულებით ნუღარ გადაიხდის და მევახშესაც სრულებით ფულს ნუ დაუბრუნებს. ამრიგად განსაკუთრებულ სასამართლოს დაარსება საჭირო აღარ იქნება.

ს.-დემოკრატები განაგრძობენ: „საგლეხო კომიტეტები უნდა დაარსდნენ. ამ კომიტეტის მოვალეობა იქნება, დაუბრუნდეს [illegible] ის მიწა, რომელიც განთავისუფლების დროს გლეხების ნადელებს ჩამოაჭრეს მებატონეთა სასარგებლოდ. ამ მიწის დაბრუნება ან ექსპროპრიაციის ძალით უნდა მოხდეს, ან კიდევ იმ შემთხვევაში, თუ ერთის პატრონის ხელიდან მეორესში გადადიოდა, სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს იგი სხვა მემამულეთა ხარჯით“. არ გვინდა ამგვარი ხასიათის კომიტეტები—ვამბობთ ჩვენ,—სად უნდა ვეძიოთ ახლა, ვის რომელი მიწა ჩამოაჭრეს ორმოცის წლის წინად, ან კიდევ, სად უნდა ვეძებოთ მიწის პატრონები, რომელთა ხელშიაც გადადიოდა ეს მიწა. ჩვენის აზრით, მოჭრილი მიწის ნაგლეჯი გლეხს არ გააბედნიერებს. ჩვენ გვსურს, რომ მთელი მიწა იმისი იყოს, ვინც თავისი მარჯვენით ამუშავებს მას, გვსურს, რომ მიწა საზოგადო კუთვნილებად გახდებოდეს.

კეთილი, გვიგებენ ს.-დემოკრატები, მაგრამ რასაც თქვენ ასახელებთ, ეგ ევოლუციის უკანასკნელი საფეხურია და ჯერ პირველი საფეხური უნდა გაიაროთ—კაპიტალისტური ხანა, კლასთა ბრძოლას ნიადაგი უნდა მოვუმზადოთ; ამიტომ საჭიროა გაუქმდეს „საზოგადო პასუხის მგებლობა“ (круговая порука) და უქმდება კანონი, რომლის ძალითაც გლეხს ნება არა აქვს თავისუფლად მოიხმაროს (ე. ი. გაყიდოს) თავისი მიწა.

კლასთა ბრძოლის ნიადაგი უნდა მოვამზადოთო. მიწის გასაზოგადოებრივება ეხლა არ უნდა მოხდეს, ეგ ევოლუციის დასკვნა იქნებაო. საკვირველი არ არის განა, რომ გაიძახიან „ნასწავლნი“ და ამტკიცებენ, სოციალური რევოლუცია განსაზღვრულ პლანით უნდა მოხდესო, ჯერ უნდა ვიზრუნოთ, რომ დიალექტიურ პროცესის მსვლელობას არაფერი გადაეღობოს გზაზედ და ხალხის საჭიროებათ შემდეგში დავაკმაყოფილებთო. ხოლო „დიალექტიური პროცესი“ დღეს მოითხოვს ჩვენგან კაპიტალიზმის განვითარებას, მაშასადამე, უეჭველია, რაც უშლის კაპიტალის გაბატონებას, უნდა გაუქმებულ იქნას, მიწის საზოგადოებრივი მფლობელობა, (общинное владѣнія) მაგ. რუსეთში რომ არსებობს, უეჭველად უკეთესი ფორმაა მიწის მფლობელობისა. იგი „უადგილოა“ დღეს. საზოგადოებრივი მიწის მფლობელობა პირველყოფილი ფორმაა მიწის მფლობელობისა. შეიძლება მომავალშიაც დამყარდეს ამგვარი ფორმა, ხოლო დღეს კაპიტალიზმისათვის კერძო საკუთრების განმტკიცებაა საჭიროო. თორემ აბა, განა სირცხვილი არ არის გლეხი დღეს ამ საზოგადოებრივ უფლებას მოკლებულია. მას არა აქვს მიწის გაყიდვის უფლება. რატომ უნდა ჰქონდეს ეს უფლება აზნაურს, მრეწველს და ვაჭარს და გლეხს კი არაო.

მიწა საზოგადო კუთვნილებაა, მიწა ყველასია, ვინც ამუშავებს მას, საზოგადო კუთვნილებით ვაჭრობა შეუძლებელია. ასე რომ დავასკვნით კითხვა, აღარ დაგვჭირდებოდა ლიბერალურ გრძნობების გამოთქმა და აღარ შეიტანდით თქვენს პროგრამაში სამარცხვინო მუხლს: რადგან სხვებს აქვს კიდეზე გადავარდნის უფლება, ამგვარი უფლება გლეხსაც უნდა მიეცესო. რადგან მრეწველი ვაჭრობს მიწით, გლეხმაც უნდა ივაჭროსო. და ის მარტივი აზრი, რომ არც გლეხმა, არც მრეწველმა არ უნდა ივაჭრონ მიწით, ეს აზრი თურმე არც კი მოგდით, რადგან უეჭველსავე ამას დისკარმონია შეაქვს თქვენს მიერ აღიარებულ დიალექტურ ევოლუციის პროცესში!..

აქ ჩვენ გავკვრით შევეხეთ საზოგადოებრივ მფლობელობას (общинное землевладѣніе). ამ კითხვის განმარტება კი ფრიად საინტერესოა, რადგან საზოგადოებრივი მიწის მფლობელობა ერთი იმ ფორმათაგანია, რომელიც უახლოვდება იმას, რასაც ჩვენ მიწის სოციალიზაციას ვუწოდებთ. ამიტომ გავსინჯოთ ეს საგანი უფრო ზედ-მიწევნით.

**

როგორც მოგეხსენებათ, მიწის საზოგადოებრივი მფლობელობა დღესაც არსებობს რუსეთში. ძველ დროში იგი მთელ დასავლეთ ევროპის მეურნეობის ფორმა იყო. აქ არ გამოუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რატომ მოისპო მიწის საზოგადო მფლობელობა ევროპაში. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ იგი ფორმა მიწის მფლობელობისა უფრო პოლიტიკურ, სახელმწიფოს ძალდატანების ძალით გაუქმდა, ვიდრე ეკონომიურ ფაქტორის გავლენით. ასე იყო თუ ისე, ევროპაში დღეს მუშათა პარტიები ცდილობენ გააუქმონ მიწის მფლობელობის ფორმის აღორძინება. რუსეთში კი მარქსისტები უეჭველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მიწის საზოგადო მფლობელობას ძირი გამოუთხარონ, და ეს გადამჭრელა ახალი ამბავი არ არის. გამოვიდა თუ არა 1847 წელს ბარონ ჰაქსტჰაუზენის ცნობილი გამოკვლევა რუსულ „მირის“ შესახებ, ამ საგანს იმ დროიდან დაეცნენ რუსის ეკონომისტები. მესამოცე წლებში „ობშჩინის“ შესახებ ჩერნიშევსკის ჰქონდა საგულისხმო კამათი „ეკონომიჩესკი უკაზატელთან“—იმ დროინდელ სამეცნიერო ეკონომიურ ორგანოსთან. ჩერნიშევსკი ძლიერის არგუმენტებით გამოესარჩლა რუსეთის „ობშჩინას“ და მის საბუთებს დღესაც ცხოველმყოფელი ძალა შერჩა.

აქ „ობშჩინის“ შესახებ კამათი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც თვით პრინციპი საზოგადო მიწის მფლობელობისა არის სოციალური პრინციპი. გარდა ამისა, საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში—მთაში გარეკახეთსა და ქიზიყში ვპოულობთ სათემო მფლობელობის ნაშთებს. და აი ჩვენთვისაც იბადება პრაქტიკული კითხვა, ხელი შევუწყოთ თუ არა ამ მოვლენას? საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გლეხებმა თუ მოისურვეს ამ ხასიათის მიწის მფლობელობის შემოღება, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ამნაირი პრაქტიკული კითხვები დღეს თუ ხვალ წამოდგება ჩვენს წინაშე, რადგან კაპიტალიზმის ზედავლენის წყალობით, დიდ მამულის კონკურენციის ზედავლენით, წვრილი მესაკუთრეები იძულებულნი იქნებიან შეაერთონ თავიანთ მამულები და საზოგადო მფლობელობა შემოიღონ. ამ ხასიათის ნიშნებს ევროპაში უკვე ვხედავთ. ეჭვი არ არის, ჩვენშიაც იჩენენ თავს. ეხლა კი დავუბრუნდეთ ჩერნიშევსკის საბუთებს.

რატომ გაილაშქრნენ რუსულ „ობშჩინის“ წინააღმდეგ? „ობშჩინა“ პირველყოფილი ფორმაა მიწის მფლობელობისა, კერძო საკუთრება კი შემდეგი, საშუალო საფეხურია. ხოლო რადგან უმაღლეს საფეხურამდე მისაღწევად საჭიროა საშუალო საფეხურის გავლა, ამიტომ ობშჩინასაც აუცილებლად მოელის გაუქმებაო. გარდა ამისა, ობშჩინა აფერხებს მეურნეობის წარმატებას, რუსეთის ეკონომიური დაქვეითება ობშჩინის არსებობას უნდა მიეწეროსო. აი უმ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2904.

ყველასათვის გასაგები, შევიწროება და შელახვა და წარმოგიდგებათ სურათი დონე მიხდილ კაცისა,—იმ კაცისა, რომელსაც დაუკარგავს სიცოცხლის ელფერი და ნიშან წყალი. მაგრამ დრო შეიცვალა, „ხმა მღაღადებელისა" არ ასცდა მათ ყურსაც და დღეს გუშინდელი ამ გვარი სვანი დაადგა გამოცოცხლების, გაცხოველების გზა-კვალს. ამათაც შეიგნეს თავიანთი ღირსება. გესიამოვნება, მკითხველო, მათი ახლანდელი ყოფა-ქცევა და მდგომარეობა. რებები სულ ხშირად და ხშირად... მსჯელობა საოცარი. თვითეული მათი შეკითხვა ე მასზედ პასუხის მიცემა თქვენგან მოითხოვს სერიოზულ დაფიქრებას. მათი დაწყნარება შეიძლება მხოლოდ მათ მოთხოვნათა დაკმაყოფილებით. **სვეო.**

კახეთი. საუბედუროდ, პრესის გულახდილ და პირდაპირ სიტყვას ბევრმა ეჭვის ვილით შეხედა და იმის მაგიერ, რომ დაკვირვებოდნენ ამ სიტყვებს და გაეთვალწინებინათ მერმისი, მთელი ბრალი პრესას მოახვიეს თავზე. რამდენჯერ იყო წერილი კახეთიდან, რამდენჯერ მოვაგონეთ მემამულეთ, რომ ყაზახები საქმეში არ გაერიათ და უმათოდ მოევლაგებინათ საქმე! ჩვენ უფრო საქმის გამწვავებისა გვეშინოდა. მაგრამ ამას ყურადღება ბევრმა არ მიაქცია.

საუბედუროდ, შედეგი მალე გამოჩნდა, რამ ვაი რომ საქმეს ველარ ეშველება ა თითზე კბენანი გვიანღაა. ს. გრემში გლეხები ჯერაც არ ეკარებიან აავადიშვილებს. ეს უკანასკნელნი ძრიელ გაჭირვებაში იმყოფებიან თურმე. იმოდენა მამულ-დედული და კონელი უპატრონობით იხრდება და დიდი ზარალი მოსდით. კურდღელაურშიაც კვეკუციას შედეგად მემამულეებთან კავშირის შეწყვეტა მოჰყვა, მაგრამ აქ ისე არ გამწვავებულა საქმე, აქ დროით მიხვდნენ საქმის ვითარებას. ზოგი შეთანხმდა გლეხებთან, ყველაფერში წილი დაიდო ეკვლესიაშიაც-კი და ზოგიც რიგდება.

მთაც არა წყნარდება. ქისტებმა რომ საქონელი დიტაცეს და ზოგიერთი თუშეთის ფლი აიკლეს, აქეთ-იქიდან ჯარი გაიგზავნა. თუშებიდან კიდევ ორასი ახალგაზრდა ბიჭი იარაღ ასხმული წავიდა და ჯართან ერთად მოქმედებდა. ესენი ჯერაც არ დაბრუნებულან და ამბავიც იშვიათ ად მოს. ამხანაგ ერთი თუში ჩამოვიდა. როგორც იმან გვიამბო, ქისტები ისეთ მიუვალ ადგილას გამაგრებულან და ისეთი მოხერხებული პოზიცია აურჩევიათ, რომ ვერავინ უდგება. ქისტები მოგერებას არ დასჯერებიან და იერიშსაც-კი მიუტანიათ ერთხელ. მაგრიდან რამდენიმე კაცი მისულა ჯართან, ვითომ და შერიგების სათხოვნელად, ადგილად-კი დაზვერა სდომებიათ. დაუწყიათ ლაპარაკი, წაუყვანიათ სადაც დანარჩენები ყოფილან გამაგრებული, მათთვის -საყრელ ბილიკიან ადგილას. როცა მისულან, დაუწიათ სროლა და დაუზარალებიათ. შემდეგ ჯარმა ახალი მოკლე გზა კეთა მთაზე, ზარბაზანი მიიტანა და სროლა დაუწყოთ. უფროსი დურბინდით იყურებოდა და ეთქო, სიმაგრის ერთი კუთხე დაანგრია ზარბაზანმაო. ნადავლ საქონლის მეორე ნაწილი წაერთმიათ, დანარჩენი ვერა. ჯერ-ჯერობით ასეა საქმე. ახლა ც მალე დაითოვება და მაშინ ხომ ყოველივე მოქმედება შეუძლებელი გახდება.

დევი.

პრესსა

სატახტო გაზეთები ექვს აგვისტოს შემდეგ განუწყვეტლივ განაგრძობენ მსჯელობას სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და არკვევენ იმ პოზიციას, რომელიც ამ დაწესებულებამ უნდა დაიჭიროს იანვარში. ცნობილი პუბლიცისტი პ. მილიუკოვი 7 აგვისტოს სწერდა გაზეთ „სინ ოტეჩესტვოში", მოსალოდნელია, რომ მეტად ენერგიული დამცველობა დასჭირდება ამ პოზიციასო. ეხლა იმავ გაზეთში მეორე ცნობილი პუბლიცისტი ა. პეშეხონოვი ამბობს: 25 ივნისს გამოიცა კანონი იმის შესახებ, რომ მოსპობილ ყოფილიყო კანონების გამოცემის წესისაგან გზის აქცევა, ექვს აგვისტოს უმაღლესი მანიფესტიც იმეორებს ძირითად კანონების შეურყევლობის აზრს, მაგრამ იმავ დღეს გამოცხადებული „დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ"-კი ისეთის წესით იყო შემუშავებული, რომელსაც არსებული კანონები არ იცნობენო.

საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთი ძირითადი მუხლი რუსეთის კანონმდებლობისა ამბობს, ყველა ახალ კანონის პროექტი წინასწარ განხილულ უნდა იქმნას სახელმწიფო საბჭოშიო, ექვს აგვისტოს კანონი-კი ისე გამოიცა, რომ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად არც-კი შეუტანიათ.

ძალიან საეჭვოა, აღმოჩნდეს ვინმე და ახალის კანონის ფორმალური ძალა უარჰყოსო, განაგრძობს პეშეხონოვი, მაგრამ მაინც მეტი არ იქნება მხედველობაში ჰქონდეთ ჩემგან აღნიშნული გარემოება იმ პირთ, ვინც გამაგრებული მეცადინეობს „შეძენილი პოზიცია" დაიჭიროს. აღსრულდება თუ არა ახალი კანონი უკეთ, ვიდრე 25 ივნისისა და საერთოდ სხვა, მათ შორის ძირითადი კანონებიც სრულდება? ამის გარანტია, ცხადია, თვით ექვს აგვისტოს აქტებში-კი არ უნდა მოიძებნოს, არამედ იმის გარეშე, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობაში.

...ბევრმა გამოსთქვა ის აზრი, რომ „შეუწყნარებელ პოლიტიკურ ცოდვად უნდა ჩაითვალოს ახალ პოზიციის დატოვება დაუცველად და იმაზე ხელის აღება უბრძოლოდ", მაგრამ ვიდრე პოზიციის დაცვას გადაწყვეტენ, ურიგო არ უნდა იყოს მოსაზრებულ იქმნას მდგომარეობა ძალთა ურთიერთობისა, რომელსაც ამ შემთხვევაში ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ პეშეხონოვი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობისთვის მოწოდებულია მხოლოდ სრულ წლოვან ქვეშევრდომთა ხუთი პროცენტი, მაშასადამე საზოგადოებრივ ძალთა უმცირესი ნაწილი, რომელიც ამასთანავე არც თუ მეტად აქტიურის ხასიათისაა და დასკვნის

„შეძენილი პოზიცია" ძალიან სუსტი და არა საიმედოა. დეე იმათ, ვისაც შეძლება და სურვილი აქვთ ამ პოზიციის დაჭერისა, ასწონ-დასწონონ და იანგარიშონ, მიახერხებენ თუ ვერა იმის შერჩენას. იქნება, იმათ გზა გადაეჭრათ და ბოლოს იმ ძალთა სამხედრო მოქმედების მიზნად გახდნენ, რომლებისაგანაც მოწყვეტილი დარჩებიან.

⁂

„მოგზაურის" უკანასკნელს ნომერში ბ-ნი ფ. მახარაძე სომხებისა და თათრების შეტაკების გამო ამბობს, მხოლოდ ეხლა ვტყობილობთ, თუ ჩვენ გვერდით, ჩვენ მეზობლად რამდენი ბნელი ძალა, რა ველურობა, ბარბაროსობა და სიმხეცე ყოფილა დაცული თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკის გვერდითო. სომხებს ჩვეულებრივ თავისი თავი მაღალ კულტურის მატარებლად მოაქვთ, მაგრამ თებერვლისა და აგვისტოს ამბებმა სულ სხვა გვაჩვენესო. შემდეგ ბ-ნი მახარაძე განაგრძობს:

რამდენათაც ჩვენ ვუკვირდებით სომხის ხალხს, იმდენათ უფრო აშკარათ ვამჩნევთ მათ უკიდურეს ნაციონალისტურ მიდრეკილებას, კლერიკალური იდეებით შეპყრობილს. ამიერ-კავკასიაში სომხის ბურჟუაზია ბევრათ უფრო ძლიერია სხვა რომელიმე ადგილობრივ ერის ბურჟუაზიაზე; და აი სწორეთ ამ ბურჟუაზიამ, სამღვდელოების დახმარებით, სრულიათ შებოჭა სომხის მშრომელი ხალხი საშუალო საუკუნოების იდეების, ნაციონალური შოვინიზმის საშუალებით. სომხის ბურჟუაზია და სამღვდელოება შეერთდნენ სომხის პროლეტარიატის დასაბნელებლად და თავიანთ მისწრაფებათა განსახორციელებლად. სომხის ბურჟუაზიამ წამოაყენა სომხის ხალხის წინაშე ერთი მხრით ნაციონალისტური იდეალი და მეორე მხრით სომხის სამღვდელოება, და ორივე ეს ეროვნულ საქმეთ დასახა. ამნაირათ სომხის ბურჟუაზიამ და სამღვდელოებამ თავისი კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებათ გამოიყვანეს და ამ ანკესზე მოგვა სომხის მშრომელი ხალხი. იმ დროს, როცა კავკასიის სხვა ეროვნებათა მშრომელი ხალხი ცოტათ თუ ბევრათ გაცნობიერებულ იქნა და განმანთავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მოყვა, სომხის მუშა ხალხი, თითქმის საერთოთ ამის გარეშე დარჩა... ამავე დროს კი სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები, რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან დაწყებული კლერიკალურ წრეებამდე, ერთა შორის მტრობას, შოვინიზმს და ფანატიზმს ავრცელებდნენ.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით გაზეთის „მოგზაურის" აზრს, რომ სომხის ბურჟუაზიამ და მისმა იდეოლოგებმა მეტად სამარცხვინო როლი შეასრულეს თავის ვიწრო კლერიკალურ ნაციონალიზმით. ექვს გარეშეა, სომხის მუშა ხალხს რომ უფრო სალი და გონივრული შეგნება ჰქონოდა თავის ინტერესებისა და ბრმად არ აჰყოლოდა სომხის ბურჟუაზიის შოვინისტურ მისწრაფებებს, არც თებერვლის და აგვისტოს საშინელი სისხლის-ღვრა მოხდებოდა. როდესაც კლასსებრივი ინტერესები და ნაციონალური იდეალები ერთი-ერთმანეთში ისე გადახლართული არიან, რომ ხელს უშლიან ერთის მხრივ სალს პროლეტარულს თვით შეგნებას და მეორის მხრივ ეროვნულ იდეის გონივრულ შეგნებას, მაშინ, ხალხი ადვილად ჰხდება ბურჟუაზიის ეგოისტურ მისწრაფებათა იარაღად და ადვილად ივიწყებს თავის ნამდვილს ინტერესებს, როგორც კლასსიურს, აგრეთვე ეროვნულს.

რუსეთის ქრონიკა

მასწავლებელთა კრების დარღვევა პოლიციის მიერ. ვორონეჟის ქალაქის საერობო საბჭოში მომხდარა ადგილობრივ მასწავლებელთა საზოგადოების კრება, მაგრამ სხდომას სწვევია პოლიცმეისტერი 60 პოლიციელით, დაუშლია სხდომა, სათითაოდ გაუჩხრეკია ყველანი, გაუშინჯავს, წაუღია ქაღალდები და დაუჭერია 3 მასწავლებელი. ამის გამო საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა თურმე. („ბ. ვედ.).

რუსეთის ახალი ფლოტი. საზღვაო უწყება ამ ჟამად შესდგომია ვრცელ პროგრამის შემუშავებას ახალ ფლოტის ასაშენებლად, რომლისათვისაც საჭირო იქნება ყოველ წლივ 50 მილიონ მანეთამდე. ახალი გემები რუსეთში უნდა გაკეთდეს და საზღვარ გარეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეუკვეთონ თუ რუსეთის გემი საკეთებელს ვერ აუვლენ. („რ. სლ.").

განკარგულება სამშობლო ენის სწავლების შესახებ. 1 მაისის კანონის გამოცხადებამდე, განსაკუთრებულ ადმინისტრატიულ ცირკულიარის ძალით, დასავლეთ ქვეყნებსა და პოლონეთში იმ პირთ, ვინც პოლონურ ენას ასწავლიდა საიდუმლოთ, პასუხის გებაში აძლევდნენ. აწ შინაგან საქმეთა სამინისტროს უცნობებია მოხელეთათვისა, გააუქმონ ის ცირკულიარი და მოსპონ საქმეები საიდუმლო პედაგოგთა წინააღმდეგ. („ბ. ვედ.").

საშუალო სასწავლებლის რეფორმა. როგორც „ბ. ვედ."-ს გაუგია დაბეჯითებით საერო განათლების სამინისტრომ საშუალო სასწავლებლების ახლად შემოღებულ რეფორმის პროექტი სახელმწიფო სათაბიროში უნდა გაატაროს. („ბ. ვედ.").

სახელმწიფო არსებულ წეს-წყობილების დამხობის განზრახვაში მონაწილეობის მიღებისათვის 31 აგვისტოს ადესაში 6 წლის კატორგა გადაუწყვეტიათ ბერნშტეინისათვის. („ნ. ჟ.").

აგრარულ მოძრაობა. მღელვარებამ ისევ იფეთქა თურმე ვროლევეცკის მაზრაში. (ნ. ჟ.).

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსი ბელგარდტი ამ თანამდებობას თავს ანებებს თურმე. იმის მოადგილედ ინიშნება პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი ჟდანოვი. („რ. ვედ.").

სამაგიერო. რიბინსკის რკინის გზის სახელოსნოს უფროსს ჩვეულებად ჰქონია მუშების ცემა თავ-პირში. ერთხელ უფროსს შეუნიშნავს, რომ მომუშავეს დაუსვენია და ჩიბუხსა სწევს. უფროსს ჩვეულებისამებრ სილა გაუკრავს მუშისთვის, მაგრამ მუშაც არ დარჩენილა გულხელ დაკრეფილი და იმასაც ჩაუფარებია სახეში უფროსისათვის. უფროსს თავზა დაჰკარგვია, ვედარა მოუხერხებია რა, გალახულ მუშისათვის მანეთი უწუქებია და უთქვამს;—ყოჩაღ, ბიჭო, სწორედ მაგრე უნდაო! („ბ. ვედ.").

წერილები

სოფ. შილდა (კახეთი). (28 აგვისტოს მოხდა შილდის სასოფლო სასამართლოში საზოგადო ყრილობა, რომელსაც დაესწრო ყველა ოჯახის თითო წევრი. მიზეზი ყრილობისა მრავალი იყო და უმთავრესი—ქურდობა-ავაზაკობა, რომელმაც ილაჯი გაუწყვიტა მცხოვრებთ. ისე არ გაივლის ღამე, რომ მეორე დილით ახალი ამბებით გული არ შეგიწუხდეთ: „წუხელ ამა და ამ კაცის ცხვრები დაუკლავთ, ხარები დაუპარავთ, ცხენი გაუტაცნიათ და თვის ძირები გადუბუგავთო, გესმით ყოველ დილით ამ გვარი ამბები და არ გეგონოთ, მკითხველო, დაკარგული საქონლის პატრონი მეორე დილით საძებრად დარბოდეს. არა, იგი გამალებული დადის ფული ისესხოს ვისგანმე, დროით გადასცეს ქურდს, რომელსაც კარგად იცნობს და რომლისაგანაც მოპარულია საქონელი თუ სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუდამოდ გამოესალმება თავის დაკარგულს საქონელს, ურომლისოდ ცხოვრება არ შეუძლიან. არა მგონია ასე აშკარა ქურდობა სადმე ხდებოდეს, როგორც ამ ჩვენს სოფელში, რამაც, რასაკვირველია, ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა და მწარედ დააფიქრა. ეჭვი სოფლის პოლიციაზედაც აქვთ. ერთს ცხენი მოჰპარვს შუა სოფელში ზურიდან, რომელიც ერთის კვირის შემდეგ საზოგადოების მამასახლისს ეპოვნა მიფარებულ ადგილას, ტყეში, ხეზედ მიბმული, რამაც ეჭვი დაუბადა საზოგადოებას თვით მამასახლისზე, წილი უნდა ჰქონოდა მასაც ამ ქურდობაში, რადგან არ დაასახელა ის პირი, რომლისაგანაც იყო ცხენი წაყვანილი და ამიტომაც საზოგადოებამ ერთხმად გადასწყვიტა, შესდგეს ეხლავე განაჩენი, გადაეცეს იგი მომრიგებელ შუამავალს და ეთხოვოს სამი დღის განმავლობაში ჩამოერთვას მამასახლისს მედლიშვილს ჯაჭვი და გადასცეს მისს კანდიდატს. ეს დადგენილება მეორე დღესვე შესრულებულ იქნა მომრიგებელ შუამავლის მიერ. ამავე დღეს მოხდა ეკკლესიის გალავანში ჯვრისა და სახარების წინაშე მთელი ყრილობის გაფიცვა „ძმობა-ერთობა"-ზე. საზოგადო ყრილობამ ამოირჩია ათისთავები და ასის-თავები, რომელთაც დაევალათ როგორც სოფლის ყოველ-გვარ საქმის მართვა, ის ქურდების დასჯა სოფლის ჩვეულებით და გაძევება მათი საზოგადოებიდან, თუ არ გასწორდებიან. **მგზავრი.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

საჯევახო. საჯევახოსა და ჩოხატაურს შუა ვიღაც შეიარაღებული კაცები თავს დაეცნენ ფოსტას. ფოსტა გადაარჩინეს. დაიჭრა სტრაჟნიკის ცხენი.

(შემთხვევითი)

ევლახი, 12 სექტემბერი. იმ ხმების თავიდან ასაცილებლად, რომელიც პრესსაში ვრცელდება ქალაქ შუშის და შუშა-ევლახის საფოსტო გზის მდგომარეობის შესახებ, საჭიროდ ვთვლი გამოვაცხადო შემდეგი: ქალაქ შუშასა და განჯის გუბერნიის მაზრებში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და სრული მშვიდობიანობაა. ვამოწმებ, რომ ორივე მხარე გულწრფელად შერიგდა და სიძულვილს აღარა გრძნობს ურთი-ერთისადმი. კარგად მიხვდნენ, რომ შუღლი და მტრობა თათრებსა და სომხებს შორის შეტანილ იქმნა გარედან და ამ მტრობას ყარაბაღში ნიადაგი არა აქვს. მრავალ გზის ჩემთან საუბრის დროს მცხოვრებნი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ განვლილ დღეთა უბედურებანი არ განმეორდება, რადგან იგი ყველასთვის საზარალო და სავალალო იყო როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივად. ქალაქ შუშის უზრუნველ საყოფელად სურსათით და სხვა საჭირო ნივთებით მოწყობილ იქნა ტრანსპორტები, რომელსაც თვალყურს ადევნებენ მოხელენი. წინადადებას ვაძლევ მცხოვრებთ, არ დაუჯერონ სხვა და სხვა ხმებს და ჩემ ხელქვეით რაიონიდან არ მიაწოდონ რედაქციებს შეუმოწმებელი ცნობები. კორესპონდენტებს ყოველთვის შეუძლიანთ ჩემთან გაიცნონ ჩემ მიერ მიღებული ზომები და საქმის ნამდვილი ვითარება.

დროებითი გენერალ-გუბერნატორი **გენერალ-მაიორი თაყაიშვილი.**

პეტერბურგი, 10 სექტემბერი. „სლოვო" გადმოგვცემს, რომ ოქტომბერში მოხდება პროფესორების მესამე კრება განსახილველად შემდეგ საკითხებისა: უნივერსიტეტების ავტონომია თანახმად საზოგადო ორგანიზაციისა; სახალხო უნივერსიტეტი და ადმინისტრატიული რეპრესიები. — პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტები აპირებენ დააარსონ სახალხო უნივერსიტეტი და იქ ითხონ ლექციები პოლიტიკურ ეკონომიისა და პუბლიცისტიკის შესახებ.—პროფ. ტიმირიაზევი ისევ შეუდგება ლექციების კითხვას.—ხმა არის, რომ უქმდება თანამდებობა სამხედრო-სამედიცინო ინსპექტორისა: ამ თანამდებობას აღასრულებს არმიის სანიტარულ ნაწილის გამგე, რომელ თანამდებობაზედ ტრეპოვი ინიშნება.—პროფესორთა კავშირის ბიურომ მიანდო ბიოლოგიურ ლაბორატორიის საბჭოს შემუშავება თავისუფალ უნივერსიტეტის პროექტისა.

პეტერბურგს საჩქაროდ გამოიწვიეს პროვინციიდან სენატორი კუზმინსკი; ის ამ დღეებში წარუდგენს მთავრობას მოხსენებას იმ არეულობათა შესახებ, რომელიც ბაქოს მოხდა თებერვალში. სხვა მოხსენებანი რევიზიის შესახებ საჩქაროდ იწერება და მალე წარედგინება უმაღლეს მთავრობას. კუზმინსკის რევიზიის მოხსენებანი, როგორც ამბობენ, გამოქვეყნებული იქნება.—გაზეთ „რაზსვეტ"-ში დაბეჭდილია წერილი „კატასტროფა კავკასიაში", რომლის ავტორი, სხვათა შორის, ბრალსა სდებს ფარისეველ-პუბლიცისტებს, რომლენიც უმალავდნენ საზოგადოებასა და მთავრობას იმას, რაც შავ ზღვასა და კასპიის ზღვის შუა ხდებოდა; უთითებდნენ მკვიდრთა უკმაყოფილებასა და არეულობათა წვრიმალ მიზეზებზე მაშინ, როდესაც მთავარი მიზეზი ყველაფრისა ის არის, რომ განაპირა ქვეყნები კულტურულ ზედგავლენასა და მუშაობას იყვნენ მოკლებულნი.

11 სექტემბერი

„ნოვ. ვრ." ატყობინებენ, რომ ბარონი ნოლდე კავკასიას წამოვიდა განსაკუთრებულის მინდობილებით: შეადგინოს პროექტები იმ კანონებისა, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს ნამესტნიკს.

ფინანსთა სამინისტრომ გამოარკვია რამდენი გადამწვარა და გადარჩენილა ნავთის კოშკი: სულ დამწვარა 1717 კოშკი, გადარჩენილა: მოქმედი—525, შესაკეთებელი და შეჩერებული—694.

ეს არგუმენტები ობშჩინის წინააღმდეგ. ჯერ პირველ მოსაზრებაზე შევჩერდეთ. კე საკუთრება ეკონომიურ ევოლუციის საშუა მომენტს შეადგენს და მისი გაბატონება ტომ აუცილებელიაო. საკვირველია, რომ რსავე საბუთებს დღესაც იმოწმებენ მარქსი ები—ჰეგელის მეთოდოლოგიის მიმდევარნი. ვინც ჰეგელის მეთოდს იმოწმებს, არ ავიწყდებოდეს რასაც აღიარებდა ამის გა თვითონ ჰეგელი. ჰეგელის აზრით კი, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ არის „აბსო ურ იდეის" ლოგიკური განვითარება. ამ გა თარების საშუალო მომენტებს ხანდისხან ქტიური არსებობა არ ექნებს. „დიალექტი პროცესის" მოტრფიალეთ უეჭველია ეს ეს დაჰვიწყებიათ. ხოლო ჰეგელის ზოგად ოლოგიას რომ თვალი მოვაშოროთ და ზოგადოებრივ ცხოვრებას მივაქციოთ ჩვენი რადღება, დავრწმუნდებით, რომ ზოგიერთი ზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც ერთ ხა ის ცხოვრებაში იჩენს თავს, მეორე ხალხის ვრებაში არ იკეთებს ფესვებს. ვსთქვათ,— ობს ჩერნიშევსკი: „რომელიმე მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებისა მოწინავე ხალხში ურის გავლენის ძალით უკიდურესობამდე იარდა. იმავე მოვლენას უფრო ხწრაფი ვითარება შეუძლიან სხვა, ჩამორჩენილ ხა ის ცხოვრებაში და დაბალ საფეხურიდან პი დაპირ უმაღლესამდე შეიძლება ავიდეს იგი, საშუალო ლოგიკურ მომენტებს კი გზას ". ამ აზრის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითი*) მოჰყავს ჩერნიშევსკის.

ავიღოთ წერის ანბანი. სინამ ანბანს გამოიგონებდნენ, კაცობრიობამ გაიარა შემდეგი საფეხურები: 1. პირველად აზრის გამოსათქმელად სახეებს ხატავდნენ; 2. ნახატი იეროგლიფს უთმობს ადგილს (ეგვიპტელები); 3. იეროგლიფი—იდეოგრაფს (ჩინელები); 4. იდეოგრაფიულ ნიშნებიდან გაჩნდა „ალფა ბეტი" ხმოვან ასოების გამოკლებით (სემიტ); 5. აქედან წარმოსდგა ბერძნული სისტემა (ჩვენი).

ახლა გვიბრძანეთ, დღეს ველურ ხალხს რომ ასწავლიან ანბანს, განა იეროგლიფებიდან იწყებენ თავიანთ გაკვეთილებს, განა პირდაპირ თანამედროვე სისტემაზე არ გადადიან (იქვე. გვ. 178). ან კიდევ გეოგრაფიის სწავლების დროს, განა ჯერ იმას ასწავლიან, რომ დედა-მიწას თეფშის ფორმა აქვს და ოკეანე მდინარეა, როგორც ეგონათ ჰომეროსის საუკუნის ხანაში და ამის შემდეგ განა იმას უხსნიან, რომ დედამიწა სწორე შარია (ასე ეგონათ ძველს დროში) და განა მარტო უფროსს კლასში უნდა აუხსნან, რომ მიწას კვერცხის მსგავსი ფორმა აქვს, შუაგულში დასურვებული და პოლიუსებში შეზნექილიო. რასაკვირველია, არა. (გვ. 179).

გარდა ამისა, შელინგი და ჰეგელი ამბობდნენ, „უმაღლესი საფეხური განვითარებისა თავის გარეგნულ ფორმით პირველყოფილ ფორმას მიაგავსო". მართლაც პირველყოფილ საზოგადოებაში, მაგალ., სამსჯავროს თვით ხალხი შეადგენდა. შემდეგში სამსჯავრო მოხელეების ხელში გადადის. ჩვენს დროში ნაფიც მსაჯულთა, ე. ი. ისევ ხალხის წარმომადგენელთა ხელშია სამსჯავრო. ან კიდევ აიღეთ ჯარი. პირველყოფილ ხანაში ჯარი მთელი ხალხი იყო, საშუალო საუკუნეებში სამხედრო სამსახურს განსაზღვრული წოდება, კლასი ასრულებდა. დღეს ისევ მილიციების სისტემა შემოდის ევროპაში (შვეიცარია). (იქვე. გვ. 167).

ჰეგელის მიმდევარი არა ვარო, ამბობს ჩერნიშევსკი, ხოლო უეჭველია ეს მეც სიმართლედ მიმაჩნია. ჰეგელის მიმდევარნო, თქვენ რაღას იტყვით ამის შესახებ?

დარჩა მეორე საბუთი: „ობშჩინა" მეურნეობის წარმატებას აფერხებსო. ხოლო ვიკითხოთ, რა პირობებში შეუძლია მეურნეობას ნორმალური განვითარება? ყველა დაგვეთანხმება, რომ როდესაც სახელმწიფოში მომქმედი კაპიტალი არ არსებობს, როდესაც ვაჭრობა-მრეწველობა განუვითარებელია, და მისვლა-მოსვლის საშუალებანი თითქმის არ არსებობენ, როდესაც ხალხში არც პროფესიონალური ცოდნაა, არც საზოგადო განათლება არ არის გავრცელებული და იგი ამასთან თვითმოქმედებასაც მოკლებულია, როდესაც მეურნეობას სხვა ხალხთა კონკურენცია ემუქრება—ყველა ამ პირობებში მეურნეობა ვერ განვითარდება. აქ არც კერძო, არც საზოგადო მფლობელობა არ უშველის. ხოლო როდესაც ამ მოსაზრებათა მიუხედავად, მეურნეობის დაქვეითებას მიწის საზოგადო მფლობელობას აბრალებენ, ამგვარი განმარტებაა ფაქტებისა ერთ დარბაისელ მანდილოსნის მსჯელობას გვაგონებს,—ამბობს ჩერნიშევსკი. თურმე ეს მანდილოსანი ზამთარში ბაღში წასრძანებულა. შიშველ მხრებზე მსუბუქი მანტილია წამოუსხამს, რის გამოც, რასაკვირველია, ძალზე გაციებულა. ხოლო თავის გაციებას იმას აბრალებდა, რომ თან მარაო არ წაიღეო. (იქვე, გვ. 258). ამ მანდილოსნის ლოგიკით მსჯელობენ ისინიც, ვინც მიწის საზოგადოებრივ მფლობელობის ფორმას აბრალებენ იმას, რის ბრალიც მას არა აქვს.

გვეუბნებიან კიდევ, „ობშჩინა" ირღვევაო. მართლა ასეა? ამ საგნის ცნობილი მკვლევარი ბ-ნი ვ. ვ. კი სულ სხვას გვასწავლის (1). [illegible] რომში 1983 წლიდან გადასახლებულ [illegible] გლეხობას კერძო საკუთრებაზე ჰქონდა დამყარებული მეურნეობა. ხოლო 1855—1895 წლებში მათს შორის გაჩნდა მოძრაობა საზოგადო მფლობელობის სასარგებლოდ. ამ ხანაში ეს წესი შემოიღო 161 სოფელმა. ყირიმში კერძო მფლობელობის სისტემა არა რუსებმაც შემოიღეს—6 ესტონელ, 2 ბერძნის, 2 ბულგარელ, 1 ჩეხელ და 1 გერმანელ სოფელში. შიდა რუსეთში (კურსკსა, რიაზანსა, ტამბოვში და სხვ.) ამგვარივე მოძრაობა გაჩნდა 1890 წელს გვრელ წოდებულ თავისუფალ მეურნეთა შორის (Вольные хлѣбопашцы). 1803 წლიდან, როდესაც ბატონყმობის უღლიდან იქნენ განთავისუფლებულნი, ყველას თავისი კერძო საკუთრება ჰქონდა. გარემოებამ აიძულა ეს წესი გადაეგდოთ და საზოგადო მფლობელობა შემოიღეს, რომელიც მათთვის უფრო ხელსაყრელი გამოდგა. სამარის გუბერნიაში, გერმანელ კოლონისტ ბაპტისტებსაც დაუნებებიათ ძველ ნაჩვევ წესისათვის თავი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მესაკუთრეს 103 აკრი მიწა ჰქონდა. 1890 წ. 103 სოფლიდან 72 სოფელმა გამოაცხადა სურვილი „ობშჩინის" შემოღებისა.

შორს წაგვიყვანს ამგვარ ფაქტების აღნუსხვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ობშჩინას" სიკვდილი არ მოელის, იგი იქაც კი არსდება, სადაც წინად კერძო მფლობელობის სისტემა იყო, რუსეთში მისი უფლებრივი ფუნქციები გადასხვაფერდნენ, ეკონომიური ხასიათი „ობშჩინისა" შეიძლება შეიცვალოს (და იგი იცვლება კიდეც არსებულ კანონმდებლობის და სხვა მიზეზთა გავლენით), ხოლო მისი ძარღვი, არსებითი თვისება, პრინციპი საზოგადოებრივ მფლობელობისა დარჩება (1).

აქ საყურადღებო ის არის, რომ მაშინ, როდესაც რუსეთში „ობშჩინას" არა სწყალობენ, დასავლეთ ევროპაში სულ სხვასა ვხედავთ. ხოლო ამის შესახებ ქვემოდ გვექნება საუბარი. ეხლა კი უნდა განვმარტოთ ის, რომ გლეხ-კაცობის ხსნა კერძო საკუთრების სისტემის გაუმჯობესებაში კი არ არის, არამედ კერძო საკუთრების გაუქმებასა და მიწის მფლობელობის გასაზოგადოებრივებაშია.

(შემდეგი იქნება)

---

*) ნ. ჩერნიშევსკი—Статьи объ общинномъ владѣніи землею" გვ. 183

[1] ვ. ვ.-ს მიერ შეგროვებულ ცნობებს ვიღებთ კროპოტკინის წიგნიდან „Mutuae aidafactou of evolution გვ. 252.

[1] ამის შესახებ იხ. კაჩერევსკის თხზულება „Русская община".

„ნაშა ჟიზნ“-ი გვატყობინებს, რომ მაღალ სამხედრო სასწავლებელთა პროფესორებსაც აქვთ განზრახვა მოითხოვონ ამ სასწავლებელთათვისაც აკადემიური ავტონომია.

„რუსი“ შიშობს, ვაი-თუ სპარსეთსა და ოსმალეთში რუსეთის პრესტიჟი დაეცეს, კავკასიაში რომ ამბები ხდება იმის გამოო. ასეთ სამწუხარო გარემოებას თავიდან ასაცილებლად საჭიროა, დასძენს გაზეთი, ყოველი ღონე ვიღონოთ ამიერ-კავკასიის დასამშვიდებლად; ხელი შევუწყოთ იმ ქვეყანაში კულტურულ ცხოვრების აღდგენას; ხოლო ამისთვის საჭიროა ახალ საფუძველზე მოეწყოს იქაური ცხოვრება, რადგან მარტო იარაღითა და ძალადობით მშვიდობიანობას ვერ აღვადგენთო.

„პეტერბურგის დეპეშთა სააგენტოსაგან“

10 სექტემბერი

ტოკიო. დაღუპულ ჯავშნოსანის „მიკაზა“-ს კამანდირი ივინე, რომელიც ბომბის აფეთქების და ცეცხლის გაჩენისას, დაუოკებლად მოვიდა და საშინლად იყო შეწუხებული. მეორე დღეს ივინემ შეკრიბა სიკვდილს გადარჩენილი მეზღვაურნი, მოკლე სიტყვით მიმართა მათ და უთხრა, რომ პირადად იგი თავის თავს სთვლის პასუხისმგებლად გემის დაკარგვაში და ამ დროს გადავარდა ფანჯრიდან, რათა თავი მოეკლა, მაგრამ ძლიერ დაიმტვრა და სასებოში წევს საზღვაო ჰოსპიტალში. მისი მდგომარეობა ძლიერ საშიშია. (რეიტ).

მოსკოვი. ბირჟის შენობაში შეიკრიბნენ ვაჭრები ფინანსთა მინისტრის დასახვედრად. ნაიდენოვმა, ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარემ, შემდეგის თხოვნით მიმართა მინისტრს ვაჭრებისაგან: 1. საჭიროა საზოგადო სადამოვნო ტარიფს დაექვემდებარონ ის საქონლებიც, რომელნიც საზღვარ-გარეთიდან შემოდის აღმოსავლეთით ციმბირში ზღვით ან ხმელეთით: 2. სასწრაფო ზომები იქმნას მიღებული დასაწვავ მასალის საკითხის გადასაწყვეტად ბაქოს უბედურობის გამო და 3. ჩქარა მოწესრიგდეს მუშათა საკითხი. მინისტრმა უპასუხა, რომ აღმოსავლეთ-ციმბირის საზღვრების გახსნა საქონლის უბაჟოდ შემოტანისათვის ომიანობის დროის პირობებმა გამოიწვიაო. დასაწვავ მასალის შესახებ 22 სექტემბრისათვის მოხდება კრება პეტერბურგში მრეწველობის ყველა დაინტერესებულ დარგების წარმომადგენელთაგან და შემუშავებულ იქმნება ზომები ამ მხრივ მრეწველობის უზრუნველსაყოფად. მუშების საკითხის შეხებით, დაასკვნა მინისტრმა—გამოწვეულია თვითონ მრეწველების თხოვნით და თუ ისინი შესაძლოდ სცნობენ მეცადინეობის განახლებას, მე დიდი მოხარული ვიქნებიო.

ტოკიო. ჯავშნოსანი „რეტვიზან“-ი წყლიდან ამოიღეს.

ბაქო. ოფიციალური. სრული გამოგონებაა „ტან“-ის თანამშრომლის ნალაპარაკევი ნამესტნიკთან, ბაქოს არეულობის შესახებ, გადმობეჭდილი „რუსკოე სლოვო“-ში. ნამესტნიკს არ ულაპარაკნია თანამშრომელთან.

ბაქო. აგვისტოს გასულს ტეხნიკოსებმა დაადგინეს, არ განაახლონ მუშაობა, სანამ უზრუნველ-ყოფილი არ იქნება პირადი და ქონებრივი უშიშროება. თითქმის ყველა დიდ ფირმას შესაძლოდ მიაჩნია დაიწყონ მუშაობა ეხლავე, რადგანაც საშიში მომენტი წავიდა და მუშები არ დაუთხოვნიათ, მაგრამ უმეტესობა, 60%-მდე, ვერ ბედავს მუშაობის დაწყებას შიშის გამო.

კარლშტადტი, 10 სექტემბერი. ოფიციალური. შვეციისა და ნორვეგიის დელეგატები შეთანხმდნენ. თათბირის ოქმებს გამოაქვეყნებენ სტოკჰოლმსა და ქრისტიანიაში მომავალ კვირას.

ბაქო. ნამესტნიკის წინადადების პასუხად მუსულმანების სამღვდელოების წარმომადგენელი ამტკიცებდა სომხებს, რომ მათ მშვიდობიანობის ჩამოგდება არ უნდოდათ და არეულობის გზას ადგნენო. ეპისკოპოსმა ანანიამ უპასუხა, სომხები დიდი ხანია წინადადებას იძლეოდნენ მკვლელები გაეცათ ორივე მხრივ და ზარალი აენაზღაურათ დაზიანებულ უცხო ტომის პირთ, მაგრამ თათრები უარზე იდგნენო. ნამესტნიკმა მოიწონა ეპისკოპოსის წინადადება. სამთა-მადნო თვალ-ყურის გდებამ გამოარკვია, რომ დამწვარია 1760 ნავთის კოშკი. მრეწველების სიტყვით-კი 2000—2500 კოშკიდან. ქალაქი გამოცოცხლდა.

პეკინი, 11 სექტემბერი. დღეს დილის 11 საათზე, იმ მატარებლის წასვლის წინ, რომელშიაც 4 დიდებული იჯდა საზღვარ-გარედ გაგზავნილნი იქ მართვა-გამგეობის წესრიგის შესასწავლად, ერთს ვაგონში აფეთქება მოხდა. დიდებულნი გადარჩნენ. მიზეზი აფეთქებისა არ იციან, მაგრამ, რადგანაც ჩინეთში მოძრაობა დაწყებულია, ეს, ალბად, პოლიტიკური მიზნით უნდა მომხდარიყოს.

პეტერბურგი. „სლოვო“-ს სიტყვით, საუნივერსიტეტო განათლების საკითხი არ იქნება განხილული სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომებზე და გამოურკვეველ დროისათვის იქნა გადადებულიო. პეტერბურგში სტუდენტების ყრილობებზე უმეტესობა მომხრეა სწავლის დაწყებისა.

ბერლინი. ბერლინში ელექტრონის ქარხნების გაფიცვები დიდ სერიოზულ ხასიათის მიღებას იმუქრება. 50 ათას მუშებიდან 10 ათასი გაფიცულია ჯერ-ჯერობით და ეშინიათ, რომ ყველანი შეუერთდებიან გაფიცულ-ამხანაგებს.

11 სექტემბერი

ჰელსინგფორსი. აბოში მოვიდა 900 სალდათი, ვაზაში—840, ტავასგუსში—720 და ჰელსინგფორსში 8 სექტემბერს—201, 9-ს 200 და 10-ს 280 სალდათი. ვაზაში მოვიდა კრეისერი „აზია“ იმ იარაღის წასაღებად, რომელიც შეკრიბეს ანაფეთქებ გემიდან.

ვიბორგი, 11 სექტემბერი. ადგილობრივი ვაჭრები ადრესებით მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორს უავგუსტესის ოჯახითურთ.

პეკინი. ბომბამ დაგლიჯა მკვლელი. დაჭრილი არიან ჩინეთის ყოფილი ელჩი ვაშინგტონში და მეორე დიდებული.

სტოკჰოლმი. პრინც-რეგენტის თავმჯდომარეობით გამართულ თათბირზე გადაწყდა მოეწვიონ რიკსდაგს 19 ოქტომბრისათვის უნიის დარღვევის გამო.

ბაქო. სომხები და თათრები დათანხმდნენ მოეწვიონ ოქტომბერში სრულიად კავკასიის სიეზდს, რათა მთავრობის მიერ დანიშნულ დამცველებთან ერთად მათაც მიიღონ ზომები მცხოვრებთა დასაცველად. 1907 წ. იანვრამდე ვადა დაიდვა, რომლის განმავლობაში უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზარალი, უზრუნველ-ყოფილი იქნას მოკლულების ოჯახები და აგრეთვე დაჭრილ-დასახიჩრებულნი. ათმა სომეხმა და ათმა თათარმა ერთი მილიონი მანეთი დასდეს გარანტიათ შეთანხმების წესიერად შესრულებისთვის. უთანხმოების გამოსარკვევად არჩევა სამედიატორო სასამართლო ხუთის სომხისა და ხუთის თათრისაგან. შეთანხმება ძალაში 1 ოქტომბრიდან შედის.

12 სექტემბერი.

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საერობო და საქალაქო მოღვაწეთა სიეზდის ბიურო ყველაფერი დაამზადა თათბირისათვის, რომელსაც სიეზდი უნდა გახსნას. პრესის წარმომადგენელთ შეუშვებენ და მათ შორის ინგლისის პუბლიცისტ სტედს.

მოსკოვ-კურსკის გზის სადგურ ცარიცინოზე საქონლის მატარებლების შეჯახება მოხდა. მოკლულია კონდუქტორი, 6 დაიჭრა, დაიმტვრა ორი ვაგონი. სევასტოპოლიდან მოვიდა აქ გზათა მინისტრი და პეტერბურგს გაემგზავრა. მოელს გუბერნიას ქუნთრუშა მოედო.

ვარშავა. ებრაულ გაზეთების სიტყვით ნოვო-გეორგიევსკში უცნიათ და დაუპატიმრებიათ სევასტოპოლის ციხიდან გაქცეული ადესის უნივერსიტეტის სტუდენტი, ებრაელი ფელდმანი, „გიორგი პობედონოსეც“-ის აჯანყებულ მეზღვაურთა მეთაური.

სიმფეროპოლი. თავიანთ სიეზდის სამახსოვროდ მალაკნებს განზრახვა აქვთ გახსნან სოფ. ასტრახანკაში, ბერდიანის მაზრა, გიმნაზია გლეხების შვილებისათვის.

ბუდაპეშტი. გაზეთების სიტყვით, კოალიციის მეთაურებმა გადასცეს ხირაკის წერილობითი პასუხი, რომელშიაც ნათქვამია, რომ კოალიციურ უმეტესობის წარმომადგენელთ, დიდად სამწუხაროდ, არ შეუძლიათ მიიღონ მის მიერ ნაჩვენები პირობები, როგორც წინააღმდეგნი პარლამენტის უმეტესობის შეხედულობისა.

ბერლინი. გიტტემ ინახულა სტატს-სეკრეტარი რიხტჰოფენი.

კიევი. დაიხურა ფსიხიატრების სიეზდი აუარებელ ხალხის თანადასწრებით.

კოსტრომა. ერობამ ხელის მოწერა გახსნეს დამშეულთა სასარგებლოდ.

რიგა. პასტორ შილინგს ესროლეს მის სადგომში, ნიტაუს, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

ბერლინი. საგანგებო ზომები მიიღეს, თუ ხოლერა გაჩნდა იმ შემთხვევისთვის. ქალაქი გაყოფილია 160 სასანიტარო ნაწილად. ექიმების გარდა, ამ ნაწილების გამგეებად არიან გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწენი. სასანიტარო კომისიების თვითეულმა წევრმა თვალი უნდა დაიჭიროს სახლებზე. თუ რაიმე საეჭვო გაჩნდა, სანიტარი მაშინვე იღებს ზომებს, რადგანაც თავისუფლად შეუძლია კერძო ბინაზე შესვლა.

„რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან“

10 სექტემბერი

ბაქო. ნამესტნიკმა დაათვალიერა დამწვარი სამრეწველოები. გამოირკვა, რომ სომხებს უსვრიათ თათრებისა და ჯარისათვის ბალახანის საავადმყოფოებიდანა და აგრეთვე მანთაშევის სამრეწველოდან. აქვე აღმოჩნდა ბევრი სხვა და სხვა იარაღი და ბომბები. ადგილობრივმა თათრებმა თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ თათრები სომხების ორგანიზაციის მხრივ ტერრორს განიცდიანო. საპატიო მოქალაქეებმა წინადადება მისცეს, აირჩიონ რწმუნებულნი სომხებისა და მუსულმანებისაგან მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. ქალაქში მოდის ორი ქვეითი და ერთი ყაზახ-რუსების პოლკები და არტილერიის ბატარეა. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით იარაღს ართმევენ მცხოვრებთ. სადგურ ქურდამირზე დაიჭირეს სომხის მღვდელი, რომელსაც [illegible] ბომბები, თოფები და პატრონები მიჰქონდა.

პეკინი. ჩინეთის მთავრობა ზომებს იღებს, რათა დიდ-ძალი კრედიტი მიიღოს ლონდონის, პარიზისა და ნიუ-იორკის ბანკირებისაგან; ამ ფულებს მთავრობა ფლოტისა და ხმელეთის ჯარების გამოწყობას მოანდომებს. დღეის იქით ჩინეთი აღარ მიაქცევს ყურადღებას მოკავშირე სახელმწიფოების მიერ 1900 წ. დადებულ აკრძალვას შესახებ იარაღისა და სამხედრო სურსათის შემოტანისა და თავის გადაწყვეტილებას სახელმწიფოებს აცნობებს.

ტოკიო, 10 სექტემბერი. გასულ ღამეს 22 კაცი დაიჭირეს, მათ რიცხვში „ნოროკუსა“ და „შიმპო“-ს რედაქტორები. გაზეთებს აბრალებენ არეულობაზე წაქეზებას.

ნიუ-იორკი. რუზველტმა ეპისტოლე გაუგზავნა კონგრესს და წინადადება მისცა, ენერგიული ზომები მიიღოთ პრეზიდენტ კასტროს წინააღმდეგო.

გროდნო, 11 სექტემბერი. კრასნოსტოკის ქალთა მონასტერში გაათავა თავისი მუშაობა პირველმა რუსეთში ეპარქიალურმა კრებულმა სამღვდელოებისა და ერის კაცთა წარმომადგენლებისაგან; კრებაზე იყო 50 კაცამდე. კრებაზე შემდეგი საყურადღებო საკითხები იქნა წამოყენებული: საეკლესიო წიგნებში ზოგიერთ შესწორების შეტანა, სასულიერო სასწავლებლების, სამეცნიერო—სააღმზრდელო წეს-რიგის შეცვლა სამღვდელო პირთა შესაძლებელი განთავისუფლება კანცელარიზმის ტვირთისაგან, საამხანაგო სასამართლოს შემოღება, საარჩევნო წესის შემოღება საეკლესიო საადმინისტრაციო ცხოვრების ზოგიერთ დარგში, მჭიდრო კავშირი მწყემსთა და სამწყსოებს შორის, ხალხში სწავლის ღრმად გავრცელების საჭიროება და ხალხის თვითცნობიერების გაღვიძება.

12 სექტემბერი

ტოკიო. ის ცნობა, ვითომც იაპონიას კონტრიბუციის საკითხში დაეთმოს კონეკოს მიწერ-მოწერით მარკიზ იტოსთან და კომურასთვის შეუტყობინებლად, საფუძველს მოკლებულია.

ჩინეთმა აცნობა რუსეთსა და იაპონიას, შეუძლებელია იმ ვადაზე დათანხმება, რომელიც სამშვიდობო ხელშეკრულობაშია აღნიშნული მანჯურიის დასაცლელადო; ძლიერ გრძელი ვადა დანიშნულაო. ამასთანავე ჩინეთი უარს ამბობს სცნოს იაპონელების უფლებები, სამხედრო პოსტები იყოლიონ რკინის გზის გასწვრივ.

სტამბოლი. პორტამ ბრძანება გასცა, თვალ-ყური ადევნონ ინგლისის პარლამენტის წევრს პრეზიდენტს ბალკანეთის კომიტეტისას, რომელიც მაკედონიაში მოგზაურობს ამჟამად.

ლონდონი. ცნობა იმის შესახებ, ვითომც ინგლისის მთავრობას სინგაპურში შეეძინოს კერძო კომერციული დოკები იმ მიზნით, რომ იქ გემბერთელი ბაზა გაემართათ, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის გზის ყელს წარმოადგენდა იქ, სადაც გაიარეს როჟდესტვენსკის ესკადრის გემებმა, ბევრს კომენტარიებს იწვევს; ამბობენ, რომ ინგლისის მთავრობამ ეს ნაბიჯი, რომელსაც გემბერთელი მნიშვნელობა აქვს, გადადგა იაპონიასთან შეთანხმებით და ეს ნაწილია საზღვაო დაცვის დიდის პლანისა და ინგლისის ფლოტის ახალის განაწილებისა, რომელიც უკვე იყო ნაუწყები.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 415. (ც.)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოემა ბახნაზი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შედანაისა	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუწწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნეთ.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია; 2) საკომერციო არითმეტიკა**; 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**; 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**; 6) **სავაჭრო და სამამასახლო წიგნებანი**; 7) მსწრაფლ-წერა და **წერა გაკრული და ჩვეულებრივი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან ახლად შემომსვლელთა მიღება **დაიწყება** 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (4—4)

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ

БУХГАЛТИРСКІЕ КУРСЫ

Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,

автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій“, учатъ и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. спеціальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и спеціалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ. По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые пополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариѳметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 744. Правила и программы высылаются безплатно. (10—6)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდროვს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—25)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ვგზავნებთ.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Сентября 1905 г.

Печ. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბა